წლიწადი მეორე — ფასი 7 კაპ. — სამშაბათი, 4 ღვინობისთვე 1916 წ. № 219

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი [illegible] ყოველ სტრიქონზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ელირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წლიწადი მეორე. **საქართველო** წლიწადი მეორე.

**ფასი თვიურად ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრამიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**

გულმოკლულნი და ღრმად დამწუხრებულნი დედა, ძმები და დები ტრაგიკულად დაღუპულის ნოვო-ალექსანდრიის სამეურნეო ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტის და იუნკერის უდროოდ დაკარგულის

იოსებ (სოსო) იოსების ძის
მექანარიშვილისა

ულრმეს მადლობას უძლვნიან ყველას, ვინც მათი უზომო მწუხარება გაიზიარა. (1—357—1)

თბილისის გუბერნიის
თავად-აზნ. წინამძღოლი
აუწყებს თავად-აზნაურთ, რომ
თავად-აზნაურობის
საგანგებო კრების
გაგრძელება,—სახელმწიფო საბჭოს წევრთა ორის ამომრჩევლის ასარჩევად,—დანიშნულია
კვირას, 9 ამა ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ,
თავად-აზ. დეპუტ. საკრებულოს დარბაზში.
(2—260—1)

გასაყიდი სიმინდი
რომელსამე დაწესებულებას, სოფლის კოოპერატივებს ან კერძოდ სოფლებს თუ ჰსურთ შეიძინონ
ბესარაბიის პირველ ხარისხოვანი სიმინდი
დაეშურონ დასაკვეთად, რათა თვით გადმოტვირთონ ვაგონებიდან, რაც შესამჩნევად უფრო იაფია (1 მ. 15 კ.), ვიდრე საწყობიდან გამოტანის დროს. ფული უნდა გაეგზავნოს **იასონ ბაჩვას ძე გაბილაიას** სახელმწიფო ბანკში ან და ფოსტით. შეიძლება გაიგზავნოს ფასდადებითაც.
**მისამართი დეპეშისთვის:** ბათომი „ორიენტალ“ გაბილაიას.




„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღე: ხარშო, ლომი, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები ძალიან იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარგად ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი
(თ. 253—31) დიმიტრი უჩ. ბიბიბერია და ნ. გ. ქურთაური

მასსაჟს, კანს ქვეშ შეშხაპუნებას და შეხვევას კისრულობს
სპეციალისტი ფერშალი და მასსაჟისტკა ქალი
დღის 3 საათიდამ საღამოს 7 საათამდის. თუმანოვის შესახვევი, № 24.
(თ. 343—9)

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

დ. ზესტაფონში
ექიმი
დ. პ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
ა. დ. შაჰპაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
**მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს** ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჰრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣль), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პრომიზორის ახვლედიანისა

თბ. კოოპერატიული საზოგადოების
„შრომის“
გამგეობა ამით მ. ნ აცხადებს, რომ დაიწყო თავის მოქმედება 26 ამ თვიდან.
მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერენ საზოგადოების წევრებათ და შეიტანონ პაის ფული ყოველდღე, კვირა-უქმეს გარდა, საღამოს 7-დან 9 საათამდე შ. რატიანის კანტორაში სიონის ქუჩაზე, ანანოვის ქარვასლაში.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა,
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

## ერთი საჭიროების თაობაზე

ქართველებმა ყველაზედ კარგად უნდა ვიცოდეთ, თუ რამდენად საზიანო ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ კეთილდღეობისათვის დაბა-სოფლების დუქნები, როდესაც ესენი უცხო ტომის საკუთრებას შეადგენენ და მის ზრახვებს ემორჩილებიან. სომხების პატარა დუქნებ-სავაჭროები, რომელიც კახეთ სა და ქართლის დაბა-სოფლებშია გაფანტული, ერთგვარ ბიუროებად და სააგენტოებად გახდნენ, სადაც იწერებოდა ყოვლად შეუწყნარებელი ხელშეკრულობები და აქტები ქართველთა სახლკარისა და ავლა-დიდების გადასვლისა სომხის ჩარჩების ხელში. გარდა იშვათი გამონაკლისისა, ქართული დაბა-სოფლების მამულები სომხთა ხელში სწორედ ამ გზით გადასულა, ჩალის ფასად და „ნეუსტოიკით“. სომხების დუქნები გარდა ეკონომიურისა დღეს სხვა დანიშნულებასაც ასრულებენ საქართველოში. ისინი სომხობის ეროვნული ზრახვის და პოლიტიკის კანტორადაც არის გადაქცეული, სადაც სომხის ტერტერა არც თუ ისე იშვათად შეიხედავს ხოლმე. ამ „სიმაგრეების“ დაშლა ან გაბათილება ჩვენი ეროვნული საქმიანობის დიდ საჭიროებად გადაიქცა და სანუგეშოდ უნდა ითქვას, რომ ვაჭრობის ასპარეზზე ახლად გამოსული ქართველობა ამ მხრივ სულ მალე მიაღწევს მისაღწეველს. საქრისტიანო საქართველოში ახალი შეგნება და საქმიანობა დატრიალდა და არც არის შიში, რომ შემდეგში ჩვენში უცხო ტომის ვაჭრები იბატონებენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ესევე არ ითქმის სამაჰმადიანო საქართველოზე, სადაც სომხის და ბერძნის ვაჭრებს მაგრად ფეხი მოუკიდნიათ და გულდანდობილი სოფლელები ჩარჩობის ქსელში გაუბამთ.

სამაჰმადიანო საქართველო ეროვნულად მეტის-მეტად შეუგნებელია და ალაგ-ალაგ ძალზედ შერყეულია ქართული ჩამომავლობისა და ვინაობის შეგნება ასეთ პირობებში სომხის „კანტორების“ მუშაობა უფრო ნაყოფიერი გამოდგება. დიდი ხანი გაივლის ვიდრე აჭარა-იმერ-ხევ-შავშეთისმკვიდრი მაჰმადიანი ქართველი ვაჭრობას ხელს მიჰყოფდეს და შეეჭიშპებოდეს ბერძნებს და სომხებს. ამ ხნის განმავლობაში ეს უკანასკნელნი კიდევ თავიანთ საქმესა და მისიას შეასრულებენ. ამ მდგომარეობას უნდა ანგარიში გაუწიოთ. საჭიროა ქართველმა კერძო ვაჭარმა, ვისაც გამჭრიახობა აქვს და შეგნებაც შესწევს, გასწიოს აჭარა-იმერ-ხევ-შავშეთის სოფლებში და დუქნებ-სავაჭროები გამართოს. თავის დაკარგულ მოძმეთა შორის მის შეგნებულ ყოფნასა და ვაჭრობას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან. არ კმარა მარტო სკოლა და წიგნი. ქვეყანას მრავალი საჭიროება უდგას და ჩვენც უნდა ვცდილობდეთ მაჰმადიან ქართველების აშ ნაირ-ნაირ საჭიროების დაკმაყოფილებას. უნდა შევიდეთ შიგ სკოლებით, ვაჭრობით და მეურნეობით. ყოველი შეგნებული პროფესიონალი, რომელიც წავა და დღემარად მაჰმადიან მოძმეთა შორის იტრიალებს, ჩვენი საერთო ეროვნული შენობის აქტიური ამგებელთაგანი იქნება.

**გ. ვაშაძე.**

## ერთი ნაღმის ისტორიიდან

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ხანებსაც სისხლის წვიმები სდიოდა. „მსოფლიო მონარქიის“ ტრფიალმა ნაპოლეონის დემონიური გენია მახვილის ალჭურვა და წყალ-ხმელეთის დამპყრობად გამოიყვანა. გავარდნილ მეომარს ბედის ვარსკვლავი უღიმოდა. მისი სამხედრო ძლიერების წინაშე ქედს იხრიდნენ დამარცხებული ქვეყნები.

ნაპოლეონთან შეტოლებამ საქვეყნოდ სირცხვილი აჭამა და სახელი მწარედ გაუტეხა ბრძანება-დაჩვეულს ავსტრიას. მარენგოს, ჰოჰენლინდენის, ულმისა და აუსტერლიცის ბრძოლათა შემდეგ, ჰაბსბურგის სამეფო გვირგვინს დაეკარგა რაც სამხრეთ გერმანეთში სამფლობელო გააჩნდა; ხელიდან წაუვიდა აგრეთვე ტიროლი და ვენეციის ოლქი. პრესბურგის ზავმა, რომელიც დასკვნად მოჰყვა საფრანგეთისას და ავსტრიის შებმას, რომის სამღვთო იმპერია გააუქმა და ნეაპოლისა და ჰოლანდიის სამეფო ტახტები ნაპოლეონის ძმებს განუმზადა.

იტალიის რესპუბლიკაც ნაპოლეონმა სამეფოდ გამოაცხადა და მის მეფედ მილანში თვით ეგვირგვინა, რკინის გვირგვინით. კადნიერებამ პრუსიაც წაიტყუა და კიდევაც დაღუპა. იენაში მწარე დამარცხება განიცადა ოქტომბრის თოთხმეტს (1806 წ.), ხოლო იმავე ოქტომბრის ოცდა შვიდს ნაპოლეონს ფართოდ გაუღო ბერლინის კარები.

პრუსიის მთელი ნახევ რი მიწა-წყალი ნაპოლეონმა ხელში ჩაიგდო. მოისურვა და შექმნა შიგ გერმანეთში ახალი საერცოგო, ვესტფალიისა. ამისთვის თავი მოუყარა და ერთი ფარგლით შემოფარგლა ჰესენის საკურფიურსტო, ბრაუნშვეიგი, სამხრეთი ჰანოვერი და პრუსიას რომ ჩამოართვა ის ადგილები. ახალ საჰერცოგოში მეფედ თავისი ძმა იერონიმი დასვა.

ბავარია სამეფოს ხარისხამდე აღიყვანა ისე, როგორც ვიურტემბურგი, ბადენი დიდ საჰერცოგოდ გახადა. მთელი გერმანეთი ფეხქვეშ გაიგო და მის მიწა-წყალზე ბატონად გაინავარდა. არც ინგლისს აწყენინა. მასაც ყურადღება მისთავაზა და მისი კუთვნილი ჰანოვერი დაიჩემა.

ესპანია დაიმორჩილა და იქ თვისი ძმა იოსები გაამეფა;—აგრეთვე ჰოლანდიაც, რომლის სამეფო გვირგვინი თვის მეორე ძმას ლიუდვიგს მიართვა. მოუსვენარ მკვიდრთა ჰკუის სასწავლებლად ნაპოლეონმა რომი საფრანგეთს შემოუერთა და იმპერიის მეორე ქალაქად გამოაცხადა.

ვეებერთელა რუსეთი ერთი დამარცხებით ფრიდლანდში დაამარცხა, როგორც მაშველი პრუსიისა. მაგრამ ამას არ დასჯერდა; გულ და გულ რუსეთისთვის მოიცალა და ჩრდილოეთის „მუჟიკს“ კორსიკელი აზნაური ხელმეორედ შეება. წინ გამარჯვება წარუმძღვარა, ათა დამარცხებული და ამოწვდილის ხმლით გადაბუგულ მოსკოვში შესდია და ჩადგა!

არ დაურჩა ევროპის არც ერთი ქვეყანა შეულახველი და შეუნჯღრეველი. ვის სულ ჩამოხადა სუვერენობის გვირგვინი და უყმო საფრანგეთს, ვის კიდევ სანახევროდ, რომ მეორე ნახევარი სხვა დროს ჩაელუკმა. ევროპის ხმლეთმა უშველებელ ლოდად იგრძნო ნაპოლეონის პატარა ტანი.

მას სუნთქვა შეეხუთა და დაუმძიმდა. ვინ დაკარგულ ეროვნულ თავისუფლებას გოდებდა მწარედ, ვის კიდევ თავისუფლების დაკარგვის ეშინოდა. ყველა ყრუდ იტანჯებოდა. ცალ მხარეზე გადმოიხარა ერთა თავისუფლების სასწორი. მშვიდობიანი თანაცხოვრების ეკილიბრი დაირღვა.

სამაგიეროს მისაზღვევად შეიკაზმა ერთა გათელილი უფლება და შეურაცხებული თავმოყვარეობა. შეერთდა ყველა, ვინც გაჭირვებასა და მწუხარებაში ერთმანეთს ეძმო და დაენათესავა,—შეერთდა და იარაღიც მოიმარჯვა. საფრანგეთის ჰეგემონიას აღუდგა ესპანია, პორტუგალია, პრუსია, ავსტრია, რუსეთი, ინგლისი და სხვა. დანდობა არ იყო არც ერთი მხრიდან. „თავის გაზდილს“ ბედმა უმუხთლა. კოალიციამ საფრანგეთი წელში გასტეხა და 31 მარტს, 1814 წელსა პარიზის ალაყაფის კარებში შეიჭრა. „მსოფლიო მონარქიის“ მეჯნური ტახტიდან ჩამოაბრძანეს და ელბის კუნძულზე ყარიბად დასვეს! შურისძიებით გამძღარმა ევროპამ ეხლა კი თავისუფლად ამოიოხა. სისხლისგან დაღლილს ზავი და მოსვენება სწყუროდა და 1815 წ. პირველ ოქტომბერს მთელი ევროპა ვენის კონგრესზე წარსდგა მტკიცე ზავის გამოსაჭედათ და ევროპაში პოლიტიკური წონასწორობის დასამყარებლად. მონარქებმა და დიპლომატებმა სათვალავში მარტოოდენ დიდი სახელმწიფონი და მათი ინტერესები ჩააგდეს და ევროპის ახალი პოლიტიკური რუკაც სწორედ ამის კვალობაზედ გამოითანგა. დასავლეთში ინგლისი საფრანგეთს წარუყენეს. ამ ერთმანეთის დაუძინებელ მოქიშპეთ ერთმანეთი უნდა შეეკავებინათ. ცენტრში გამოჰყვეს პრუსია და ავსტრია, ერთს მეორის ძალა უნდა გაებათილებინა. დარჩა უცალოდ ერთი რუსეთი, რომლის გაბათილება მის საკუთარ უძლურებას და ტერიტორიულ დიდ გაშლილობას მიანდვეს. ვენის ამ შენობაზედ დამყარდა მთელი იმედი ევროპის მოქალაქობრივი ცხოვრების მშვიდობიანი სვლა-განვითარებისა. ვერ იქნა შემჩნეული, თუ რა ნაღმები მოჰყვა ამ შენობის საძირკველს. მან თან დაიტანა, პატარა ერების დათრგუნვილი უფლება. ნაღმებმა დრო გამოშვებით იწყეს აფეთქება. თითოეულის გავარდნა ვენის შენობას ძალუძრად აზანზარებდა. დათრგუნვილი უფლება შურისძიების გზას დაადგა. ქვეყანამ დაინახა, რომ მშვიდობიანობის სიმტკიცისათვის საკმარისი არ იყო მარტოოდენ დიდი ერების თავისუფლების დაცვა. პატარა ერის თავისუფლებაც იმდენადვე აუცილებელი აღმოჩნდა.

ჯერ კიდევ არ გამშრალიყო ვენის კონგრესის ხელშეკრულება, რომ ევროპის ჰაერში აჯანყების და ამბოხების სული დატრიალდა. ეროვნული ომები ხან აქ იჩენდა თავს, ხან იქ. პატარა ერებმა თავიანთ ორბიტში ევროპის დიდი სახელმწიფონიც ჩააბეს და ერთმანეთს შეახალეს.

1820 წელს საბერძნეთში იარაღი აისხა ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ. თანაგრძნობით შეეგება ამ აჯანყებას ევროპის საზოგადოება. კოჭლი ბაირონიც კი გაეშურა, რომ შველა მიეტანა აჯანყებულთათვის. ათი წლის თავზე ამ აჯანყებამ საბერძნეთი დამოუკიდებელ სამეფოდ გადააქცია...

საფრანგეთის ივლისის რევოლიუციამ (1830 წ.) ბრაბანტში ეროვნული მოძრაობა წარმოშვა, რომელიც მთელ ბელგიას მოედო. მსხვერპლისა და სისხლის საფასურში ამ აჯანყებამ ბელგეთი ჰოლანდიის უღელისაგან იხსნა და დამოუკიდებლობა მიანიჭა. ბელგეთის სამეფო დააკანონა ლონდონის კონფერენციამ საბერძნეთის სამეფოს დაკანონებასთან ერთად, 1830 წ. 4 ნოემბერს.

უიღბლო გამოდგა სამად გათხრეშილი პოლონეთის ცდა, რომ მონობის უღელი კისრიდან გადაეგდო და ფეხზე დამდგარიყო. პოლონეთის ეროვნული რევოლიუცია დამთავრდა პოლონეთის სამეფოს სრული დამხობით, უკანასკნელად აღიგვა კრაკოვის არისტოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც ავსტრიამ ჩაყლაპა (1846 წ.).

ამას მოჰყვა 1898 წლის რევოლიუციური მოძრაობა და ჩაუქრობელი მწვავე ეროვნული ომები. იტალიაში დაიწყო ეროვნული ბრძოლა ავსტრიის წინააღმდეგ, ხოლო გერმანეთის საჰერცოგოში—დანიის წინააღმდეგ. უნგრეთში მადიარები ებრძოდნენ გერმანელებს, სერბებს რუმინებს და კროატებს. ნაყოფიერი შექმნა ეს სისხლის ღვრანი. იტალია განთავისუფლდა და გაერთიანდა უნგრეთმა თავისიგაიტანა, ამას მოჰყვა ბალკანეთის ხალხთა აჯანყება ოსმალეთის უღელის გადასაგდებათდა რუს-ოსმალთა ომიც (1877 წ.).

ბერლინის კონგრესმა დააკანონა ბალკანეთის ხალხთა დამოუკიდებლობა, მაგრამ არც ისე, რომ ანგარიში სრულიად გასწორებულიყო. ეს დარჩენილი ანგარიში პატრუქად გადაექცა 1912—1913 წ. ბალკანეთის ალს. ვერც ამან მოახდინა ბალკანეთის ამბების სრული ლიკვიდაცია. ბოსნია-ჰერცოგოვინაში ჩაწყობილი ნაღმები მხოლოდ დროს ელიდება. ერთმა სარაევოში იფეთქა კიდეც და დღევ ნდელი ჯოჯოხეთი დაატრიალა...

ყოველი ერთი ეროვნული აჯანყება ვენის შენობას უფრო და უფრო ბზარავდა. მის შესაკეთებლად სხვა და სხვა კონგრესები და კონფერენციები იმართებოდა, რომელნიც აკანონებდნენ დამონებული ერის მიერ თავის თავის განთავისუფლებას. ამგვარად გაჩდნენ და აღიმართნენ ახალი ეროვნული სხეულები და სახელმწიფონი.

მაგრამ ჯერ კიდევ დარჩა ბევრი სხვა, ვინც უცხოთა უღელ ქვეშ გმინავს. ესენი დღეს უჩინარად ძევან უცხო სხეულთა სიმძიმეს ქვეშ მოყოლილნი. მხურვალებით მათ გულშიაც მხურვალებს იგივ ნაპერწკალი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ხან აქ დაინთებოდა ხოლმე ცეცხლად და ხან იქ.

მზგავსად მეცხრამეტე საუკუნის პირველი ხანებისა, ჩვენი მეოცე საუკუნეც სისხლის წვიმებით პირს იბანს.

ენერგიის გამოლევა, ჯანის გაწყვეტა და ქონების გამოფიტვა სისხლის მღვრელ ფალავნებს საცაა ახალ კონგრესამდე მიიყვანს, ახალი „წონასწორობის“ დასამყარებლად. მომავალი შენობის კალატოზებს არ ჰხამს დავიწყება, რომ ამ შენობასაც ნაღმად მოჰყვება ეს ამდენი უჩინარი სხეული ეროვნებათა, უკეთუ ესენიც იმავ უფლებით არ შეიმოსენ, რომლითაც მოსილნი არიან დღეს მათზე სიგრძესიგანით გადაწოლილნი ერნი-ბატონნი.

დასდებენ თუ არა ფასს ამ ისტორიის გაკვეთილს? სახელმწიფოს ფარგალს ეროვნების ფარგალში მოამწყვდევენ თუ არა? იცნობენ პოლიტიკოსნი და დიპლომატნი თუ არა, რომ მშვიდობიანობის შენობის სიმკვიდრისათვის ყველაზედ უპირველესია ეროვნებათა თავისუფლება და თანასწორობა? ყველაფერი ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად დაისჯება თავის ცოდვებისთვის დღევანდელ ომში ჩაბმული ესა თუ ის დიდი სახელმწიფო.

საერთოდ ოპტიმიზმი მოსატანი არ უნდა იყოს. უფრო ისაა დასახსომებელი, რომ პოლიტიკას ჯერ კიდევ ჩხუბი და დავი-დარაბა მოსდის საგანთა და მოვლენათა ჭეშმარიტ გაგებასთან. დასახსომებელია, რომ მას სამართლიანობისა არ ეხათრება, რომ იგი სხვა გულისთქმას ემორჩილება.

მაგრამ ამავ დროს დაინტერესებულს უნდა ახსოვდეს, რომ იგი სწორედ ამისთვის ხშირად ისჯება, რომ სამართლიანობამ შურისძიება იცის და ნაღმმა კიდევ—აფეთქება.

**ხ. კედია.**

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

საბერძნეთის მთავრობამ მოკავშირეების ყველა მოთხოვნილებანი მიიღო და უკანასკნელნიც შეუდგნენ თავიანთ განზრახვის ასრულებას. უპირველესად დაიჭირეს ზღვის სანაპირო სიმაგრეები, სამს ჯავშნიან დიდ გემებს იარაღი აჰყარეს. მხოლოდ დანარჩენი გემები ადმირალ ფურნიეს განკარგულებაში გადავიდა. ამავე დროს ფრანგების რაზმებმა ათინის რკინის გზის სადგური დაიკავეს. ერთი სიტყვით, მოკავშირეთ არავინ წინააღმდეგობას არ უწევს და საბერძნეთში ისეთ თადარიგს იჭერენ, რომ გენ. სარაილის ჯარს ყოველგვარ ხიფათისაგან უზრუნველ ჰყოფენ.

რასაკვირველია, ინგლისელებს და ფრანგებს ასეთი მცირედი განზრახვა არასოდეს არა ჰქონიათ. მას შემდეგ, რაც ბულგარეთი გერმანეთის სასარგებლოდ ომში ჩაერია, მოკავშირენი ყოველივე ღონეს ხმარობდნენ უსათუოდ რუმინეთი და, უფრო კი საბერძნეთი, თავიანთკენ მიემხროთ. ქინიანობის შემდეგ რუმინეთმა გაბედა და რუსეთის მხედრობას ამოუდგა გვერდში საერთო მტერთან საბრძოლველად. რაც შეეხება საბერძნეთის მდგომარეობას, მეტად გართულდა. მეფე კონსტანტინე თავისი მოხელეებით არათუ არ ჰფიქრობდა მოკავშირეებთან ერთად ცენტრალურ სახელმწიფოებს შეჰსეოდა, უკანასკნელი ხელსაც კი უწყობდა და სცდილობდა, რითაც კი შეეძლო, დახმარება აღმოეჩინა. აშკარა გახდა ყველასათვის, რომ დიპლომატია უძლური გამოდგა საბერძნეთის პოლიტიკის გამორკვევაში და მოკავშირენი იძულებულნი შეიქმნენ ძალისათვის მიემართათ.

ჯერ ჯერობით საბერძნეთი ძალას ემორჩილება. იგი ყველაფერს, რასაცკი დღევანდლამდე სთხოვდნენ, უთმობდა და კიდევაც უთმობს. ათინიდან მოსული ცნობები გვარწმუნებს, რომ ასეთი მათ მიერ თანხმობა მოკავშირეთა მოთხოვნილების მიხედვით აშკარა უკმაყოფილებას იწვევს. იმ დროს, როდესაც ჯავშნიან გემებს მოკავშირენი იარაღსა ჰყრიან, საბერძნეთის მთავრობა თავის ჯარებს შუაგულ საბერძნეთისაკენ აგროვებს. გუშინდელ დეპეშაში ასეთი ამბავია მოთხრობილი. ათინის სადგურზე მოსულა ორი საბერძნეთის ბათალიონი. ისინი უნდა ჩამსხდარიყვნენ მატარებელში და წასულიყვნენ დანიშნულ ალაგს. ფრანგების რაზმის უფროსმა ნება არ დართო და აიძულა უკანვე დაბრუნებულიყვნენ. ეს არც ისეთი მცირე მნიშვნელოვანი ფაქტია, პირიქით, ნათლად მოწმობს იმას, რომ საბერძნეთის მდგომარეობა უფრო გართულდა და ადვილი მოსალოდნელია, ერთს მშვენიერ დღეს მოკავშირეებმა ისეთს ზომებს მიჰმართონ, როგორც საჭიროა აშკარა მოპირდაპირესათვის. მოკავშირეებისათვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა ერთი დაკვრით გაეთავებია საბერძნეთის გამოურკვეველი მდგომარეობა. მაშინ რუმინეთიც უფრო ადრე ჩაერეოდა ომში და ბევრსაც მოიგებდნენ.

აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე სკრობოვის მიდამოებში მოპირდაპირეს რამდენჯერმე უშედეგო იერიში მოუტანია. კორიტანიცის ჩრდილოეთით რუსეთის ჯარს ორი წყება სანგრები ჩაუგდია ხელში. დანარჩენ ასპარეზზე არსებითი ცვლილება არსად მომხდარა. აგრეთვე ეს სამი დღეა რაც ბუქარესტიდან ცნობა არ მოსულა.

X.

## ომის დეპეშები

### უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

1 ღვინობისთვე.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. 29 ენკენისთვეს გერმანელებმა ზარბაზანი დაუშინეს ჩვენს თხრილებს, მდ. შარის დასავლეთის ნაპირას, სოფ. გოდოვიჩის მიდამოში; მერე იერიშით წამოვიდნენ, დაიპყრეს კიდეც ჩვენი თხრილების ნაწილი, მაგრამ სამაგიეროდ შევუტიეთ და დიდად დაზარალებული უკანვე გავაბრუნეთ. ბუზნოვიას სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა მზვერავებმა მოპირდაპირის სადარაჯოზე იერიში მიიტანა და მოდარაჯენი დაიჭირეს. ჩვენი მზვერავები მათ მიერ დატოვებულ თხრილში გამაგრდნენ. მდ. ნარაუვკაზე, სოფ. სვისტელნიკის სამხრეთ-დასავლეთით მოპირდაპირე შეეცადა ჩვენი სადარაჯოს ალებას, მაგრამ სროლით მოვიგერიეთ. მდ. სუჩაევზე, სილეტინის მიდამოში, ტყიან კარპატებში, თოფის სროლით ჩამოვაგდეთ მტრის საფრენი. საფრენი დაცემისათანავე დაიწვა. შიგ მჯდომი მფრინავი და მზვერავები გადარჩნენ და დავატყვევეთ.

კავკასიის ასპარეზზე მზვერავების მოქმედება და სროლაა.

დობრუჯში მდგომარეობა არ შეცვლილა.

2 ღვინობისთვე.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. მდ. სტოხოდის სათავეში, სოფ. რაი მესტოს მიდამოებში, კისელინის სამხრეთით, სემერენკთან და ბუზნოვოს დასავლეთით მდებარე ტყეებში ჩვენმა მზვერავებმა სიმარჯვე გამოიჩინეს, აიღეს მოპირდაპირის სადარაჯო და თხრილები. აქ მტრის სამაგიერო იერიში მოვიგერიეთ. დირნა-ვარტას მიდამოებში ზარბაზნების სროლაა. აქ მოჰკლეს თერგის კაზაკთა პოლკის სახელოვანი უფროსი პოლკოვნიკი ტუსკაევი.

კავკასიის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

დობრუჯში არსებითი არაფერი მომხდარა.

3 ღვინობისთვე.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. 30 ენკენისთვის საღამოს, სკროპოვის მიდამოში, მტერი ზარბაზნის დაშენის შემდეგ, იერიშით წამოვიდა ჩვენს მოწინავე თხრილებზე, მაგრამ ხიშტებით მოვიგერიეთ და დიდი ზიანიც მივაყენეთ. კორიტნიცის სამხრეთ მიდამოებში ჩვენმა სახელოვანმა ჯარმა, მედგარი ბრძოლის შემდეგ, აიღო მტრის სანგრები და ხელთ იგდეს 2 ტყვიისმფრქვეველი და ტყვეები. მოპირდაპირემ ხუთჯერ ზედიზედ მოიტანა ხიშტებით იერიში, მაგრამ დიდად დაზარალებული უკანვე გავაბრუნეთ. მიჩიშჩუკის მიდამოებში მოპირდაპირემ სცადა შემოტევა, მაგრამ სროლით გავაქარწყლეთ. კირლიბაბას და დორნა-ვარტას მიდამოებში და აგრეთვე დობრუჯში მოპირდაპირის რამდენიმე შემოტევა სროლით მოვიგერიეთ.

კავკასიის ასპარეზზე არსებითი არაფერი მომხდარა.

**შავი ზღვა.** 29 ენკენისთვეს ჩვენმა წყალქვეშამ „ტიულენ“-მა ლეიტენანტ კიტიცინის უფროსობით, ბოსფორის მახლობლად, ოსმალეთის შეიარაღებულ ტრანსპორტ „რადოსტო“-სთან ერთი საათის უთანასწორო ბრძოლის შემდეგ, ეს ტრანსპორტი დაატყვევა და თუმცა დაზიანებული იყო მაინც სევასტოპოლში მოიყვანა. „როდოსტოს“ მეზღვაურნი გერმანელები იყვნენ.

1 ღვინობისთვე.

**საბერძნეთის ვითარება.**

**პარიზი.** მახლობელ აღმოსავლეთში მყოფ მოკავშირეთა ფლოტის ადმირალმა ფურნიემ საბერძნეთის მთავრობას მოთხოვნილება წარუდგინა, ზომები მიიღეთ, რომ მოკავშირეთა ხმელეთის ჯარი და ფლოტი საფრთხეში არ ჩავარდესო. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ვადა გუშინ დილით შესრულდა. ადმირალი სწერდა: უკეთუ მოთხოვნილებანი საბერძნეთის მთავრობამ არ დააკმაყოფილა, იძულებული ვიქნები საჭირო ზომებს მივმართოვო. გაზ. „პტი პარიზენ“-ი სწერს: ნეტავ რას მოასწავებს ლარისის ციხე-დარბაზის გამაგრება მას მერე რაც გაამაგრეს ტატოის სასახლე და ათინის მახლობლად და საბერძნეთის საზღვრებზე თავი მოუყარეს ბერძენთა პოლკებს? განა ამ მიდამოებშია საგრძნობი ბულგარეთის საფრთხე?

**ლონდონი.** ჰავასის სააგენტო იტყობინება: ადმირალი ფურნე, მოკავშირეთა ფლოტის უზრუნველსაყოფად საბერძნეთის მთავრობისაგან მოითხოვს, რომ საბერძნეთის მთელი ფლოტი, გარდა „ავეროვ“-ის, „ლემნოს“-ის და „კილკის“-ისა მის ხელში გადავიდეს 28 ენკენისთვეს, ნაშუადღევის 1 საათამდე. აგრეთვე მოკავშირეთა კონტროლს უნდა დაემორჩილოს ლარის-პირეის რკინის გზის ლიანდაგი.

საბერძნეთის საზღვაო მინისტრმა განუცხადა, ყველა ზემოხსენებულ მოთხოვნილებას დავაკმაყოფილებთ დანიშნულ ვადაზე და საბერძნეთის ფლოტს ადმირალს გადავცემთო.

**ათინა.** ადმირალ ფურნიეს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, საბერძნეთის მსუბუქ გემებიდან მეზღვაურნი ჩამოსხეს. თითო ბატარეიდან ხუთ-ხუთი არტილერისტი ათინაში დააბრუნეს. მოკავშირეები მყის დაეპატრონენ მიტოვებულ გემებს და ციხე-კოშკებს. გონება-მიხდილი ათინელები უიმედობას მოუცავს. რადგანაც მოკავშირე სახელმწიფოთა დესპანები მიღებულ ჩვეულებისამებრ, 24 საათის განმავლობაში სადარბაზოდ არ იწვევენ ახალ სამინისტროს წევრებს, ჰფიქრობენ მათ შორის კეთილი განწყობილება არ დამყარდებაო.

**ათინა.** „ათინის სააგენტო“ გადმოგვცემს: ადმირალმა ფურნიემ მოითხოვა, რომ ჯავშნოსნები „კილკის“, „ლემნოსი“ და „ავეროვ“-ი თავის სადგომ ადგილასვე დარჩნენ. რაც ჯავშნოსნებზე ზარბაზნები, სანაღმო იარაღები და სამხედრო მოწყობილება უნდა მოიხსნას, ზედ მყოფი მეზღვაურნი და შტაბი უნდა გაანასამედოს, მსუბუქი გემები კარაციფტის ნავთსაყუდელში უნდა მოაგროვონ იმავე სახით, როგორც ეხლა არიან. ზედ მყოფ მეზღვაურებს უფლება აქვთ გემებზე დარჩნენ, ან სხვა ამხანაგებს გაჰყვნენ ათინაში. ის სიმაგრეები და ბატარეა, რომელიც სალომინის სანაოსნო გზას და არხს გადასცქერის, აგრეთვე პირეის მოდარაჯე ორი სიმაგრე ადმირალ ფურნიეს ჯარმა უნდა დაიჭიროს. სხვა ციხე-სიმაგრეებსა და ნავთსადგურებს იარაღი უნდა მოჰხსნან. მოკავშირეთა აფიცრები საბერძნეთის რკინის გზებზე საპოლიციო მოხელეებად ჩადგებიან.

ამავე მოთხოვნილებათა პასუხად, საბერძნეთის მთავრობამ შეუთვალა: ვინაიდან მეტად მოკლე ვადაა დანიშნული პასუხის გასაცემად, იძულებული ვართ პროტესტი განვაცხადოთ წარმოდგენილ მოთხოვნილებათა გამო, მაგრამ რადგანაც გასაქანი არა გვაქვს, იძულებულნი ვართ დავემორჩილოთო.

**ლონდონი.** „დეილი-კრონიკლ“-ის კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება: საბერძნეთის მთავრობა დასთანხმდა მოკავშირეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, ხოლო პროტესტი განაცხადა, რომ მოთხოვნილება ულტიმატუმის ფორმით წარუდგინეს.

ბერძენთა ყველა გემებზე ბერძნების ნაცვლად ფრანგები ჩააყენეს. ყველა დიდი ყალიბის ზარბაზნებს გასალეში მოჰხსნეს. ზარბაზნები ათინაშივეა.

**ბუქარესტი.** რუმინელების ოფიც. ცნობა. 29 ენკენისთვის ჩრდილო და ჩ-დილო დასავლეთით ასპარეზზე, კალიმონსა და ბუზეს შუა მოწინავე რაზმების შეჯახება იყო. ბუზესა და ბრანტოსბურგს შუა მტრის რამდენიმე იერიში მოვიგერიეთ. დანარჩენ ასპარეზზე დუნაის ნაპირებამდე ზარბაზნებისა და თოფის სროლაა. დობრუჯში მდგომარეობა არ შეცვლილა.

**პარიზი.** მახლობელი აღმოსავლეთი. სერბიელებმა მტრის მედგარი იერიშები მოიგერიეს და ბროდში დამკვიდრდნენ.

**ლონდონი.** ჩვენი მფრინავები საფრანგეთის ასპარეზზე მტრის ზურგის მხარეს შეიჭრნენ, ბევრჯელ შეებრძოლნენ მოპირდაპირის შეიდ საფრენს, ზოგი გაჰფანტეს, ზოგი იძულებული ჰყვეს ძირს დაშვებულიყო, ერთი გაანადგურეს, ორი საგრძნობლად დააზიანეს. ჩვენი 5 საფრენი აღარ დაბრუნებულა.

**ქრისტიანია.** მეფის ბრძანებით, მეომარ სახელმწიფოთა წყალქვეშა საომარ ნავებს, ეკრძალებათ ნორვეგიის წყლებში ნაოსნობა და ყოფნა. ამ ბრძანების დამრღვევ წყალქვეშას გაუფრხილებლად სროლას აუტეხენ. ეს ბრძანება 7 ღვინობისთვიდან შედის ძალაში.

**რომი.** სტეფანის სააგენტო იტყობინება ხმებს, ვითომც იტალია წინააღმდეგია, რომ საბერძნეთი მოკავშირეებს მიემხროს და ომში ჩაერიოს, სიმართლეს მოკლებულია.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტო გადაჭრით უარყოფს იმ ხმებს, ვითომც მინისტრ-პრეზიდენტს განეცხადებინოს, იტალიას არა სურს, რომ საბერძნეთი ომში ჩაერიოს.

**ბერნი.** ტრიესტ დან იტყობინებიან: მთავრობის დაწესებულებათა არქივები და საბუთის ქაღალდები ჩაალაგეს და ვენაში გაგზავნეს. ყოველ ათდღეში ერთხელ ჰგზავნია ვენაში ზედმეტ შემოსავალს.

**პარიზი.** გენერალმა ჟოფრმა ჯარის მიმართ ბრძანება გასცა, სადაც ყველა ფრანგებს მოუწოდებს საფრანგეთის ახალ სესხზე ხელი მოაწერონ, რადგანაც ეს არის უწმინდესი ისეთივე სავალდებულო მოვალეობა, როგორც სამხედრო ბეგრის მოხდა.

3 ღვინობისთვე.

**ლონდონი.** სოლუნიდან მიღებული ოფიც. ცნობა. სტრუმაზე ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა პორონიკისა და ტოპოლევის მიმართულებით წინ წაიწიეს, რკინის გზის აღმოსავლეთით. ჩვენმა ჯავშნიანმა ავტომობილებმა ვერეს-დემარ-გისარისა და სერეს-სოლუნის ჯვარედინ გზას მიაღწიეს და აღმოაჩინეს, რომ ნახორის მახლობლად მტერს ძლიერი ჯარი ჰყოლია. დოირანის ასპარეზზე, დოლჯელის ჩრდილოეთით. მოპირდაპირის თხრილებს დავეცით. ცხარე ბრძოლის შემდეგ მტერი გაიქცა. ადგილობრივ დასტოვა 50 მოკლული.

**სტოკჰოლმი.** შვეციის მთავრობამ ნება დართო, რომ გერმანეთში წაიყვანონ 5000 ცხენი.

**პარიზი.** მახლობელ აღმოსავლეთში მტერი გამაგრებულია სერეს-ნავიაკ-ვარაკლი-ჯიმა-იენიმაკის ხაზზე. ინგლისის ჯარი ძალიან ახლოა მისული. ბრძოლის ხაზის შუაგულსა და მარცხენა ფრთაზე შეუჩერებელი ბრძოლაა ზარბაზნებით.

**ლონდონი.** ინგლის-საფრანგეთის საფრენებმა ობენდორფს ყუმბარები დაუშინეს. ინგლისელების 3 საფრენი აღარ დაბრუნებულა.

**ათინა.** რადგანაც საბერძნეთის მთავრობამ მოკავშირეთა მოთხოვნილებანი დააკმაყოფილა, მოკავშირეთა სახელმწიფოთა დესპანები გუშინ დილით გარეშე საქმეთა სამინისტროს ესტუმრნენ.

ადმირალ ფურნიეს განკარგულებით ფრანგების რაზმი მოთავსდა ათინის ლარისას სადგურში, რათა ხელი შეუშალოს სამხედრო მასალითა და სურსათით დატვირთულ მატარებლების გასვლას. მალე ბერძენთა 2 ბატარეა საომრად გამზადებული სადგურზე მივიდა, მაგრამ იძულებული გახდა უკანვე გაბრუნებულიყო, რადგანაც სადგურზედაც არ მისცეს ნება გადმოეცალათ ვაგონები.

**ათინა.** მთავრობისაგან განზე განდგარი ჯარისკაცების მოკავშირეთა რაზმებში ჩაწერვა გრძელდება. ლანდავას ოლქიდან 500 მოხალისე მოვიდა. გემმა „დელფინ“-მა პირეიდგან 500 მეზღვაური მოიყვანა. ესენი ტატოეში დააბინავეს.

გუშინ ბრძოლის ხაზზე ცვლილება არ მომხდარა. სხვა და სხვა ადგილას ბრძოლა გრძელდება.

**რიგა.** 1 ღვინობისთვეს გერმანელების საფრენი ქალაქის თავზე გამოჩნდა, მაგრამ სროლა რომ ავუტეხეთ, სწრაფად მიეფარა.

**სტოკჰოლმი.** ინგლის-შვეციის შეთანხმებით 1 გიორგობისთვემდე შვეციის ვაჭრებს ნება მიეცათ გაზიდულ საქონელზე მოწმობები აძლიონ რომ საქონელი შვეციის ნაწარმოებია. ამის გამო გეტებორ ინგლის შუა სავაჭრო ნაოსნობა დღეს განახლდა.

**სოლუნი.** მოკავშირეთა ცხენოსანმა ჯარმა სანაპიროებისაკენ წაიწია. ს. დოლჟელის ჩრდილოეთით ინგლისელებმა მარჯვედ წინ წაიწიეს.

**კოპენჰაგენი.** დანიის მთავრობამ დასტური დასცა, რომ გერმანეთში გადაიყვანონ 3000 ცხენი. სამაგიეროდ გერმანეთიდან ნება დართეს დანიაში შეზიდონ სალებავები, სარკინისგზო მასალა, ჭარხლის თესლი და სხვ.

**ოდესა.** რუმინიიდან ცნობაა: სერბეთში ბულგარელები თავს უყრიან 13—14 წლის სერბიელ ვაჟებს და ბულგარეთშივე ისტუმრებენ. იქ ამუშავებენ თხრილების გაჭრაზე და სიმაგრეების შენებაზე.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### საფრანგეთის ასპარეზი

მას მერე რაც ფრანგ-ინგლისელების ჯარმა კომბლი აიღო, გერმანელები გამაგრდნენ კომბლიდან 2—3 ვერსზე ტრანსილუ-საის ხაზზე. ფრანგების ჯარი სოფ. საიის 100 საჟენზე მიუახლოვდა და თხრილებში ჩაჯდა. გერმანელები, თურმე, ყურსაც არ იბერტყენ და ასე მახლობლად დაბანაკებულ მოპირდაპირეზე იერიშები აღარ მიაქვთ. შუმსკის აზრით ეს არის შედეგი ჰინდენბურგის ტაქტიკისა. ალბად გერმანელები აქ თავს უყრიან ჯარს ფრანგ-ინგლისელების შეტევის მოლოდინში, მაგრამ, ეტყობა, უკიდურეს შემთხვევაში თუ გამოიღებენ ხელს.

ჰინდენბურგის მთელი გულისყური ეხლა მიმართულია 4 უმთავრეს ასპარეზზე: გალიცია-ვოლინისა, ტრანსილვანიისა, დობრუჯისა და მაკედონიისა, სადაც მზადდება უდიდესი სტრატეგიული და პოლიტიკური ამბები. ჰინდენბურგი ჯერ ჯერობით ზრუნავს ბერლინ-სტამბოლის რკინის გზასა და გალიცია-ტრანსილვანიის ასპარეზზე. იგი მხოლოდ მაცქერალია იმ მოვლენისა, რომ სომაზე ბრძოლის ხაზის მოხაზულობა ტომარის მოყვანილობას ემსგავსება, თან და თან გრძელდება და შესაძლებელია გაირღვეს კიდეც. შუმსკის აზრით ამ ხაზის გარღვევა გერმანელებს მიაჩნიათ შეუძლებლად და იქნებ, სასურველადაც, რადგანაც დღევანდელს პირობებში ხაზის გარღვევას შესაძლოა მოჰყვეს მთელს ბრძოლის ხაზზე საერთო გადამწყვეტი ბრძოლის დაწყება.

გერმანელების სტრატეგია მუდამ უპირატესობას აძლევს ერთბაშს და სწრაფს მოქმედებას, ვიდრე ხანგრძლივსა, გაჭიანურებულს და ჰარაქათის გამცლელ მძიმე მოქმედებას.

გერმანელები ეხლა უმთავრესად აღმოსავლეთის ასპარეზზე იბრძვიან. საფრანგეთის ასპარეზს კი ფხიზლად უთვალთვალებენ, ევებ საქმე ისე დატრიალდეს, რომ სანგრებში ჩამსხდარი ორივე მოპირდაპირე საერთო იერიშზე გადავიდეს და გაშლილ ველზე გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყოსო.

ფალკენჰეიმის და ჰინდენბურგის მიზანი ერთი და იგივეა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ფალკენჰეიმი გადამწყვეტ ბრძოლას საფრანგეთის ასპარეზზე ესწრაფვოდა, ჰინდენბურგი კი რუსეთის ასპარეზზე ეძებს. ჰინდენბურგი აუშფოთებლად ურიგდება დასავლეთის ასპარეზზე მოპირდაპირეთა მიერ თუნდაც ალყის შემოკვრას, ოღონდ რუსეთის ასპარეზზე ისე მოაწყოს საქმე, რომ ეხლანდელი უმოძრაო, ერთადგილს მიჯაჭული ბრძოლა, მოძრავ, სწრაფ სამოქმედო და გამანადგურებელ ბრძოლად აქციოსო დასძენს შუმსკი.

### ბულგარეთი.

პ. ბურსკი სწერს: გენერალი ფალკენჰეიმი დარწმუნებული იყო, რომ ბულგარელები დღევანდელ ომში დამარცხდებოდნენ და ვილჰემს ურჩევდა, ბალკანეთის ასპარეზზე ხელი აეღოთო. მართლაც, ბულგარელების გენერალისიმუსმა ჟეკოვმა მარიამობისთვეში ხალისიანად შეუტია სალონიკის ასპარეზზე სარაილის ჯარს, რომ სალონიკში შეემწყვდია და ზურგის მხრივ ბულგარეთის ჯარი უზრუნველ ეყო. მაგრამ ეს განზრახვა ვერ შესრულდა. ფალკენჰეიმის აზრი ეხლა უფრო ნათელსაყოფი ხდება, როდესაც ბულგარელებს 15 დივიზიით ორს ასპარეზზე უხდებათ მოქმედება, სალონიკსა და სამხრეთ-რუმინეთში. ბულგარელებს 350—400 ათასი მეომარი ვერას გააწყობს მოკავშირეებთან თუ გერმანელებმა დროზე არ მიაშველეს ჯარი.

სერბიელებმა ყაიმაკჩალანის ალების დროს ბულგარელებს მოუკლეს 3 ათასამდე მეომარი და 40-დე ზარბაზანი დაატოვებინეს.

დობრუჯში როჰვო-ყაბადონ-პერვალის ხაზზე რუს-რუმინელთა ჯარმა ბულგარელებს 13 ზარბაზანი წაართვა.

ბურსკის აზრით დიდი გავლენა მოახდინა რუმინელების გადასვლამ დუნაის მარჯვენა ნაპირზე, მაგრამ როგორც ვიცით რუმინელები იძულებულნი გახდნენ უკანვე გაბრუნებულიყვნენ დუნაის მარცხენა ნაპირზე.

### სერბეთში.

სერბეთის განადგურების დროს გადარჩენილი სერბიელთა ჯარის ნაწილი კორფუს კუნძულზე შეხიზნეს და ამ უკანასკნელ დრომდე სული მოაბრუნებინეს. ეხლა, როდესაც ბულგარელებმა მაკედონიაში იწყეს მოქმედება, მოკავშირეებმა სერბიელთა ჯარის ბრძოლის ველზე დააბრუნა. კაიმაკჩალთან მათ შეანგრიეს პირველი კარი თავისი სამშობლო მიწა-წყლისაკენ, გადავიდნენ მდ. ცრინზე, მიაღწიეს პეპალს და დაიბრუნეს 7 სოფელი, 1400 მცხოვრებით. (გ. პ.).

### საბერძნეთში.

კალაგერაპულოსის გადადგომის შემდეგ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ასახელებენ კონსერვატორს სტეფანოვს. სტეფანოვი რამდენჯერმე ყოფილა მინისტრად ტრიკუპასა და ტესტაკის სამინისტროებში. შემდეგ სამეფო პოლიტიკურ კაბინეტის უფროსად იყო, სანამ ვენიზელოსის მოთხოვნით არ გადააყენეს.

ათინიდან თითქმის მთელი სამხედრო მასალა და სურსათი შუაგულ საბერძნეთისაკენ გადაუზიდნიათ.

### გერმანელებმა ამერიკის სანაპიროები შეჰკრეს.

„რ. ს.“ მეთაურ წერილს უძღვნის იმ მოვლენას, რომ გერმანელების წყალქვეშა ნავებმა ამ ბოლო დროს სამოქმედო ასპარეზად გაიხადეს ამერიკის სანაპიროები, სადაც რამდენიმე გემი კიდეც დაღუპეს. ერთ-ერთ დაღუპულ გემზე ამერიკელი მოგზაურებიც დაიღუპნენ. გაზეთის აზრით, საქმე ეხება ნეიტრალობის დარღვევას კი არა თვითონ ამერიკის სავაჭრო ნაოსნობის ყოფნა არ ყოფნის საკითხს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გერმანელებმა ამერიკის სანაპიროებში წინასწარ გაუფრთხილებლად კადნიერად გააჩაღა წყალქვეშა ბრძოლა, მაშინ როდესაც ამერიკის გარემოცვას რომ აპირებდ[illegible] სახელმწიფოებიც კი [illegible] გააფრთხილა, გარემოცვას ვიწყებო. საკითხი იბადება, უდიდესი და უძლიერესი ნეიტრალი ქვეყანა (ამერიკა) ნებას მისცემს თუ არა, რომ გერმანელებმა სხვის წყლებში ასე თავისუფლად ითარეშონ. თუ შეერთებულ შტატების პრეზიდენტი ვილსონი ამ შემთხვევაშიაც შეურიგდება ძლიერის უფლებას, მაშინ რაღა ფასი უნდა ჰქონდეს რაიმე იურიდიულ უფლებებს.

ამავე საგანს ეხება ოგლინი და სწერს: ამერიკის სანაპიროებთან გერმანელების წყალქვეშა ნავებმა გემები დაღუპეს. დაღუპვის ადგილი, ნანტუკეტის კუნძული შეერთებულ შტატებიდან 75 ვერსით არის მოშორებული, ხოლო ნიუიორკიდან 250 ვერსით. სწრაფი ოკეანის გემი ამ მანძილს 10—12 საათში გასცურავს. წყალქვეშათა თარეში ამერიკის სანაპიროებში, რა თქმა უნდა, არსებითად ვერ შეარყევს ინგლისის ნაოსნობას, თუმცა ინგლისს ასეთ შორს მანძილზე უფრო გაუძნელდება მოპირდაპირის წყალქვეშებთან გამკლავება. მეორე მხრივ, თვითონ გერმანელებისათვისაც გაცილებით ძნელია აქ ბრძოლის წარმოება, ვიდრე ევროპის სანაპიროებთან, რადგანაც ასეთ დიდ მანძილზე მხოლოდ უდიდესი წყალქვეშა ნავების გაგზავნა შეიძლება. ასეთი ნავები კი გერმანეთს მხოლოდ ორიოდე აქვს. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს დიდ წყალქვეშათა რაოდენობას, რომელიც ჯერ გამორკვეული არ არის. ისიც საგულისხმოა, რომ წყალქვეშა, „u 53“ ჯერ ნიუპორტში მივიდა, იქ 2 საათს დაჰყო და რაწამს გამობრუნდა 125 ვერსის მოშორებით დაჰღუპა გემი. ეს იმისი საბუთია, რომ გერმანელები არავითარ ანგარიშს არ უწევენ ამერიკას.

### შინაგანი სესხი გერმანეთში.

სექტემბრის ბოლო რიცხვებში დამთავრდა ხელის მოწერა გერმანეთის უკანასკნელ შინაგან სესხზე. ამ ომის დროს ეს მეხუთე შინაგანი სესხია გერმანეთის მთავრობის მიერ გამოშვებული. პირველი სესხი 1914 წლ. სექტემბერში გამოცხადდა: განაღდებულ იქმნა ოთხ ნახევარი მილიარდი მარკა (მარკა ძველი კურსით თითქმის 50 კაპ. უდრის); მეორე სესხმა 1915 წლის თებერვალში 9 მილიარდი მარკა მისცა; მესამემ 1915 წლის სექტემბერში 12 მილიარდი მარკა; მეოთხემ ამ წლის მარტში 10 მილიარდი 700 მილიონი, ხოლო მეხუთემ 10 მილიარდი 500 მილიონი. ამ გვარად გერმანეთის მთავრობამ ორი წლის განმავლობაში თითქმის 47 მილიარდის მარკის სესხი გაანაღდა (დაახლოებით 23 მილიარდ მანეთისა). ამ გარემოებას ზოგიერთი გულფიცხელი გერმანელი პუბლიცისტი დიდს ყურადღებას აქცევს; ამტკიცებენ, რომ გერმანეთის წელში მოდრეკა შეუძლებელია, რაკი ხალხი ასეთ მამულიშვილურ სიყვარულს იჩენს და ასე გულმოდგინეთ ეხმარება სახელმწიფოს ომის ხარჯების დაფარვაში.

### გერმანეთის დანაკლისი ომის დროს.

დანიის დედა ქალაქ კოპენჰაგენში არსებობს საგანგებო საზოგადოება „ომის საზოგადოებრივი შედეგების გამომკვლევი“. ამ საზოგადოების ცნობით გერმანეთის ჯარს ორი წლის საბოლოოდ განმავლობაში 2.033,800 კაცი დაუკარგავს მოკლულთა, მძიმედ დაჭრილთა და დასახიჩრებულთა სახით. ამას გარდა ამავე ხნის განმავლობაში დაახლოვებით 660,000 გერმანელი ტყვედ იქმნა წაყვანილი. ამ გვარად საერთო რიცხვი გერმანეთის დანაკლისისა 2.700,000 ჯარის კაცს წარმოადგენს.

## ახალი ამბავი

### სასახლეში.

✦ მეფის ნაცვალს სადარბაზოდ წარუდგა დეპუტაცია მაიკოპის ყაზახის მცხოვრებლებისა.

✦ 1 ღვინობისთვეს მეფის ნაცვალი სამხედრო სასწავლებელში მიბრძანდა და პრაპორშჩიკებს, რომელთაც 1 ღვინობისთვეს სწავლა დაამთავრეს, მიულოცა ეს დღე.

✦ 2 ღვინობისთვეს მეფის ნაცვალს სადარბაზოდ წარუდგა მაიკოპის რკინის გზის გამყვანი სპარსეთში პოლკ. სუშჩევსკი.

### ქართული დაწესებულებანი

✦ ქართველ ქალთა საზ. ს ჩაიეს მარიამობისთვეში შემოსავალი ჰქონდა 3894 მან. 35 კ., ხარჯი 2749 მან. 23 კ., დარჩა 1145 მ. 12 კ; ენკენისთვეში შემოსავალი ჰქონდა 4340 მან. 95 კაპ., ხარჯი 2865 მან. 26 კ, დარჩა 1475 მან. 69 კ.

✦ **კრების გადადება.** შაბათს, 1 ღვინობისთვეს, კვლავ არ მოხდა ხელმეორედ დანიშნული წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის სხდომა.

✦ **ქართულ სამქველმოქმედო საზოგადოების** წევრთა წლიური კრება ამ თვეში მოხდება. წარსული წლის ანგარიში საზოგადოებისა უკვე დაბეჭდილია.

✦ **ბათომის განყ. ქ. საქვ. საზოგადოების** თავშესაფარის შენახვა ყოველთვიურად ნავარაუდევია 2 ათას მან.

✦ **თავშესაფარის მდგომარეობა.** 15 ენკენისთვეს ბათომის თავშესაფარში ირიცხებოდა 45 ბავშვი (17 ვაჟი და 18 ქალი), ახალციხისა 27 (19 ვაჟი და ქალი), ხოლო უდესი, ახალც. მაზ., 48 ბავშვი (32 ვაჟი და 16 ქალი).

✦ **წიგნების ბეჭვდა.** ქ. შ. წ. კ. ს. ზ. გამგეობა ამ ჟამად ბეჭდავს და მალე გამო გასასყიდათ მეორე ნაწილი ნ. კალანდაძისა, ასტრონომიისა და ეკ. გაბაშვილის საყმაწვილო მოხხრობანი. „რუსკოე სლოვოს" პირველი ნაწილი, რომელიც 18 ათას ცალად დაიბეჭდა, უკვე გაიყიდა. ამ ჟამად გამგეობა ბეჭდავს მელმეორედ ამდენივე რიცხვს.

✦ **ხარფუხის კლუბში.** მამასახლისთა საბჭომ უკვე დაიქირავა ყოფილი პროჟექტორის კინო-პლასტიკონის ბინა საზამთრო შენობად. ამ მოკლე ხანში კლუბი გადავა საზაფხულო ბინიდან.

**ქალაქ. ს დაწესებულებანი**

✦ **ქალაქთა კავშირის** კავკასიის განყოფილება 1.250.000 მანეთს მოელის მოსკოვიდან მიმდინარე ხარჯების გასაძლოლად.

✦ **დაჭრილ ჯარისკაცებთა მომვლელი** თბილისის ქალაქის კომიტეტი 400.000 მანეთს სთხოვს ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტს მოსამსახურეთა ჯამაგირებისათვის და მიმდინარე ხარჯების დასაფარავად.

✦ **შუამდგომლობა.** ქალაქთა კავშირის შეწირულებათა მიმღები განყოფილება 10.000 მანეთს სთხოვს კავშირს ჯარისკაცთათვის საჩუქრების სასყიდლად მომავალ დღესასწაულებისათვის.

✦ **ხოლერა.** 3 ღვინობისთვეს, დილის 8 საათზე, ქალაქის ლაზარეთში № 40 იმყოფებოდნენ: ხოლერიანი 36 და ხოლერის ნიშნებით 5 კაცი. 2 ღვინობისთვეს ლაზარეთიდან გაეწერა ხოლერის მონახადი 1 კაცი.

✦ **ახალ ლაზარეთების გახსნა.** ქალაქთა კავშირმა გადასწყვიტა მოაწყოს ქუთაისსა, გორსა, ერევანსა, გუმბრსა და ყარსში ახალი ლაზარეთები, რომლებშიაც შეიძლებოდეს სულ 6.000 საწოლის მოთავსება.

✦ **კერძო თათბირი.** 30 ენკენისთვეს ქალაქის საბჭოს დარბაზში კერძო თათბირი ჰქონდათ ხმოსნებს ქალაქის მოურავის მოადგილის არჩევის შესახებ [illegible] თანამდებობაზე, მაგრამ ხმოსნის განცხადებას კრების უმრავლესობამ ყურადღება არ მიაქცია. კაჩაზნუნმა ნიშნად პროტესტისა დარბაზი დასტოვა და მონაწილეობა აღარ მიიღო კანდიდატების დასახელებაში. დანარჩენ 31 ხმოსანთაგან 26 ხმა მიიღო ისევ ა. მ. არღუთინსკიმ, ხოლო თითო ხმა გ. ჟურულმა და ბ-ნა ათაბეგოვმა. სამს კანდიდატები არ დაუსახელებია. ამრიგად საბჭოს კრებაზე ქალაქის მოურავის მოადგილედ ყუთს დაიდგამს მხოლოდ ბ-ნი არღუთინსკი.

✦ **ხოლერის აცრა.** ქალაქის საავადმყოფოებში დღიდან ხოლერის გაჩენისა აუცრიათ ხოლერის წინაალმდეგ სულ 219 სულს.

**სხვა და სხვა ამბები.**

✦ **მოსკოვის უნივერსიტეტის** იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა პირველი ხარისხის დიპლომით ინგილო ქართველმა რაფიელ ალექსანდრეს ძე ივანიცკიმ (რ. ინგილომ).

✦ **აგერ თვე ნახევარია,** რაც უგზო-უკვლოთ, დაიკარგა თბილისის სასულიერო სემინარიის პირველი კლასის მოწაფე პარმენ ფილიპეს ძე მამინაიშვილი, რომელიც 29 აგვისტოს ტრაპეზუნიდ ნ დაბრუნებულა. ვსთხოვ პატივცემულ მკითხველ საზოგადოებას, თუ ვინმემ იცის მის შესახებ რამე, გვაცნობოს თბილისის სასულიერო სემინარიაში კალენიკე მამინაიშვილს.

✦ **უპურობა.** თბილისი კვლავ განსაცდელს განიცდის უპურობის გამო. გუშინ და გუშინწინ აუარებელი ხალხი აწყდებოდა ფურნეებს და თორნეებს. უფქვილობის გამო ზოგიერთი თორნე სავსებით გაცივებული იყო, ფურნეებში დრო გამოშვებით აცხობდნენ ყოვლად უვარგის პურს, მაგრამ ესეც ყველას არ ხვდებოდა; მშიერი დედაკაცები და ბავშვები ქუჩაში მთელ დღეს ჯერს უცდიან. პურის საშოვნელად მთაწმიდიდან ხარფუხში გარბოდნენ, ვერიდან კუკიაში და კუკიიდან გოლოვინის პროსპექტზე. როდის მოეღება ბოლო ამ ტანჯვას, არავინ იცის.

✦ **ხარკოვიდან გვატყობინებენ:** ქართველი სტუდენტობა აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება. არ აქვთ ბინები. ოთახი 80—100 მან. ღირს. საშინელი სიძვირეაო.

✦ **მეფის ნაცვლის კანცელარიამ** 500,000 მანეთის ტალონი გადასცა ქალაქთა კავშირის განყოფილებას. ეს ფული უნდა მოხმარდეს გადმოხვეწილთა სამკურნალო-სასანიტარო საჭიროებას.

✦ **მომხმარებელ ამხანაგობის „მეპურნის"** მაღაზიაში ამ ჟამად ბევრი ისეთი საქონელია, რომელიც სხვა სავაჭრო სახლში იშვიათია, მაგალითად: საპონი, სანთელი, ბრინჯი, კარტოფილი და სხ. [illegible] 1,150 მანეთის საქონელი.

✦ **დეპ. ქ. კაკაბაძე,** [illegible]

✦ **მილოცვა მიტრ. პიტირიმს.** ქართველთა ერთმა ჯგუფმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნა მიტროპოლიტ პიტირიმს სვეტიცხოვლის საკათალიკოსო ტაძრის დღესასწაულის გამო.

✦ **საკრებულოს შენობის გადაწვა.** თბ. საკრებულოს საზაფხულო შენობას 1 ოქტომბერს ცეცხლი გაუჩნდა და სულ მთლად დაიწვა. ზარალი დიდია. შენობა დაზღვეულია.

✦ **ხილის მაზანდა.** ქართლის ამხ. ცნობით 1 ღვინობისთვიდან 3 ღვინობისთვემდე თბილისის ბაზარზე ხილის მაზანდა იყო: ვაშლი როჭი ფუთი 6—4 მან.-მდე, წითელი კალვილი 6—3 მ. კნულური რემენტი (ანტ.) 7—4 მან. მან. ლიმონის ვაშლი 5—3 მან. მსხალი დუშესი 7—5 მან. ხეჭეჭური 4—3 მან. ატამი 25—12 მან. ყურძენი ნიხრზე. კომში 2 მ. 50 კ.—3 მ. 50 კ.

✦ **ტრამვაის მსხვერპლი.** 19 თებერვლის ქუჩაზე ორი უბედურება დატრიალდა 30 ენკენისთვეს. ტრამვაის ვაგონის ქვეშ მოჰყვნენ ქ. ყარსის მოქალაქის შვილი ყორღანიანცი 8 წლისა და 1 საკომერციო სასწავლებლის მოწაფე აშოტ ვატულიანცი 7 წლისა. უკანასკნელი მძიმედ დაშავდა, ხოლო პირველი სასიკვდილოთ.

✦ **სვეტიცხოვლობა.** მცხეთის საკათალიკოსო ტაძრის დღეობამ 1 ოქტომბერს აუარებელი მლოცველნი მიიზიდა როგორც თბილისიდან ისე გარეშემო სოფლებიდან. ამ დღეს მწირველი იყო საქართველოს ეგზარხოსი მაღ. ყ. უსამღ. პლატონი ეპ. დომიანესა და არქ. ნაზარისა და პიროსის თანამსახურებით. განიცადეზე ყ-დ საგულისხმიერო სიტყვა წარმოსთქვა ტაძრის წინამძღვარმა დეკ. ალ. ჯალიაშვილმა. წირვის შემდეგ ცხოველ სვეტის წინაშე გადახდილ იქმნა პარაკლისი და შემდეგ ლიტანიით გარს შემოუარეს ტაძარს შემოსილმა სამღვდელოებამ აუარებელ მლოცავთა თანა. წირვაზე და პარაკლისზე მგალობელთა ორი გუნდი ჰგალობდა, ქართულად სასულიერო სემინარიისა და რუსულად ეგზარხოსისა. წირვის შემდეგ საკათალიკოსო დარბაზში სადილზე იქმნენ მიწვეულნი საპატიო პირნი და საქართველოს ეგზარხოსი თანამლოცველ სამღვდელოებით. დღესასწაულს დაესწრო ქართულ ცხენოსანთა ლაშქარი. ლაშქრის უფროსმა პოლკ. დ. ზ. ჭავჭავაძემ ინახულა ეგზარხოსი, მიმართა სიტყვით და სთხოვა ტრაპეზი ეკურთხებინა ქართულ ცხენოსანთა ლაშქრისთვის. ეგზარხოსმა უკურთხა ტრაპეზი და მხურვალე სიტყვით მიმართა ლაშქარს. უსურვა რომ ლაშქარი საქართველოს ძლევა მოსილ მხედართა სახელს ძირს არ დასწევს და კერძოთ თ-დ ჭავჭავაძიანთ საგვარეულო ადლეგრძელა, სადილის შემდეგ საქართველოს ეგზარხოსი სამთავროს დედათა მონასტერში წაბრძანდა, დაათვალიერა ტაძარი და სამრეკლო, რომელიც აღდგენას საჭიროებს. შემდეგ ჩაიზე ილუმენია ნინოს ესტუმრა და ნაშუადღევის 4 ნ. ნ. საათზე თბილისში წამოვიდა.

✦ **მეპურეთა უსტაბაშის** განცხადების მიხედვით თუ თბილისის მეფურნეებს ფქვილი არ მოუტანა ქალაქის გამგეობამ, ქალაქი უპუროდ დარჩება.

✦ „ხალხი კლუბი" საზამთრო ბინაზე გადმოვიდა.

✦ **ქ. საქ. საზ. მცხეთობას ყულაბით** ფული მოაგროვა. ფულის მოგროვებაში მონაწილეობა მიიღეს მცხეთის სამთავრო დედათა მონასტრის სკოლის მასწავლებელ ქალებმა ქ-ნ იულია იაშვილის ხელმძღვანელობით. როგორც ამინდმა ისე ქალების ენერგიამ ხელი შეუწყო საზოგადოების მიერ გამართულ დღეს. ყულაბები ჯერ არ დაუთვლია საზ. გამგეობას.

✦ **თბილისში მყოფ აფიცერთა** რაოდენობის აღსანუსხავად კავკასიის მხედრობის უფროსმა ბძანება გამოსცა, რომ პოლიციამ დაუყოვნებლივ ყოველ მუდამ დღეს აცნობოს საკომენდანტოს მომსვლელ და წამსვლელ აფიცერთა ვინაობა.

**თელავი.**

ერბოს მაგიერ აქაურმა ზოგიერთმა ვაჭრმა კარაქი გამოაჩინა. გირ. 1 მ. და 10 კ. ფასობს.

— სოფელ ხორხელში (თელავის მაზრა) ყაჩაღები დაეცნენ შუაღამისას ამ სოფლის მცხოვრებს ნიკო ჭურჭლიშვილს და წაართვეს წინა დღეს გაყიდული ხარ-კამეჩების ფული 900 მანეთი.

**ლანჩხუთი** (გურია).

აქა-იქ მუცელამ იჩინა თავი. სამწუხაროდ მცხოვრებნი ექიმებს თავის დროზე არ ატყობინებენ, ზოგი სრულიადაც მალავს, რის გამოც ხალხში ვრცელდება.

**სუფსა** (გურია).

მთელ ჩოჩხათის საზოგადოებაში გაჩნდა საქონლის ჭირი. ბეითლები საქონელს ხოცავენ, ზარალი დიდია. ამის მიზეზით ფოთის გზა შეკრულია და გურია სანოვაგეს ვერ აწვდის, რის გამო ფოთი დაიმშა.

**დ. ხონი.**

— ხონის ბოქაულმა აუკრძალა აქაურ ვაჭრებს სოფლებიდან მოსულ ხალხზე ფქვილის მიყიდვა, რის გამოც ვაჭრებს ფქვილს არ მოაქვთ. საკვირველია ასეთი განკარგულება. სოფლელებს საზოგადოება უნდა ეხმარებოდეს და არა პირში ლუკმას ვართმევდეთ.

— ადგილობრივმა მცხოვრებმა არკატი ყუფარაძემ შეიძინა ავტომობილი, რომელიც დაიწყებს მიმოსვლას ხონსა და სამტრედიას შუა.

— შაქარი არ იშოვება, თუმცა კოოპერატივში არის, მაგრამ აძლევენ მხოლოდ წევრებს.

**ოჩამჩირე.**

23 ენკენისთვეს ადგილობრივმა ურიადნიკმა ალექსი ქვაჩახიამ რამოდენიმე დარაჯების თანხლებით სოფ. ფარცხაში ვინმე გოგოხიას სახლში შეიპყრო ცნობილი ყაჩაღი ვ. ანჩაბაძე ორის ამხანაგით. დარაჯ-ყაჩაღებ შორის სროლა არ მომხდარა. მათ უნახეს სხვა და სხვა ნივთები ვაჭრებისგან მონატაცი, რაიც წარუდგინეს სამურზაყანოს უბნის უფროსს.

— 24 ენკენისთვეს დ. ოჩამჩირედან ზუგდიდისაკენ დილიჟანით მიმავალ მგზავრებს დღით ს. ილორში დახვდა ხუთი შეიარაღებული ბოროტგამზრახველი და როგორც მგზავრებმა აჩივლეს გვარის ადმინისტრაციას გადმოსცეს: წაღებულია არა ნაკლებ 2000 მანეთისა.

# მცხეთობა

ძველი სული აღარ შეგვრჩენია, იგი თანდისთანობით ჰქრება ჩვენში.

თუ გინდ გუშინ-წინ.

დიდი სარწმუნოებრივი და ისტორიული დღეა 1-ლი ღვინობისთვე, როგორც დღესასწაული საქართველოს ტაძრისა, მაგრამ შეიძლება არასოდეს არ ყოფილიყოს ასეთი მნიშვნელოვანი და მრავალ ჭირ-ვარამის გამამჟღავნებელი, როგორც იყო გუშინ...

გუშინდელმა დღემ ერთხელ კიდევ გვაჩვენა, რომ ყოველივე მშობლიური გადაშენების გზას ადგია, რომ სარწმუნოება დაცემულია ჩვენში...

რას წარმოადგენდა მცხეთობა?— რაღაც კარნავას და არა ქართულ ეროვნულ დღესასწაულს... ყოველივე წვრილმანს და რიგს უცხოური ელფერი ედვა... მრავალრიცხოვან მლოცავთა შორის, ვერც კი გამოარჩევთ ქართველს. მოხუცებულთაც კი იშვიათად ვხედავთ... ვიღაც გადამთიელები, ზურნით, ეტლში ჩამსხდარნი უვლიან ეკლესიას... ჰიჰყინებს ზურნა, ღრიანცელი გააქვთ „ძმა ბიჭებო".

აგერ არღანიც... მის დამტვრეულ ხმებზე მალაყს გადადიან არყით გამომთვრალი რუსის ჯარის კაცები. ხელების ქნევით ეცემიან მიწაზე. გაჰკივიან უწმაწურ... სიტყვებს, არ ერიდებიან მანდილოსანთა კრებულს და სხ... ისმის გარმონის ჩახლეჩილი ხმაც და არშინ მალალანის სიმღერები. ვინ უწყოდა თუ მცხეთაც—ეს საქრისტიანოს უწმიდესი ადგილი (ქრისტეს პერანგის საცავი) და ქართველ გვირგვინოსანთა საფლავნიც ელირსებოდნენ **არშინ მალალანს**?!

**ჯგუფად სომხებიც** ქეიფობენ... ულხინოდ, უსიმღეროდ, თუმცა დიდი ღრიანცელით და ყვირილით. განცალკევებულ კუთხეში ისმის რუსული ტოსტები ქართველ ჯარის აფიცრებისა და მადლიან და მჭექარე „მრავალჟამიერის" ნაცვლად გრიალებს სამხედრო მარში...

სად არის მშობლიური, ქართული სიმღერები? სად არის ფერხული, ცანგალა, „მზევ, შინ შემოდიო", სად არის ქართული ჭიდაობა, ბურთი და ჯირითი, ან ცხენოსანთა მიერ მოწიწებით შემოვლა ეკლესიის გარშემო დროშით ხელში—ეს სიმბოლო საქართველოს სიცოცხლისა?..

ნუ თუ ყველაფერი მოისპო, განქარდა?—მე ვხედავდი ორ უცხოელს, ქართულ ჩვეულებათა დასათვალიერებლად რო იყვნენ მოსულნი. დაღონებულნი დაეხეტებოდნენ გალავანში, ილიმებოდნენ არღან-გარმონით და უკვირდათ, ნუთუ ამ ველური საკრავებით სტკბებოდა ქართველი ხალხი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში? შორეულ სპარსეთში ფერეიდანის პატარა საქართველოში სამასი წლით, მშობლიურ კალთიდან მოწყვეტილმა ერმა შეინარჩუნა ქართული სახე და ჩვენ კი.. ვაი, სირცხვილო?..

ორიოდე სიტყვაც თვით ეკლესიაზე. საბრალო სურათს წარმოადგენს მცხეთის ტაძარი, თავპირი ჩამოსტირის, შიგნით კი, სულ განშიშვლებულია, ქართული მხატვრობა აღარ ამშვენებს მას (იგი შებღალულ იქმნა ალექსანდრე პირველის ჩამოსვლისას). ეს სურათიც, ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს, რომ თუ საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში შესაფერი რეფორმა არ მოხდა, დაცემულთან მრავალი სხვაც დაგვაკლდება!

ასეთივე უპატივცემო მდგომარეობაშია ქართველ მეფეთა საფლავები. მლოცველები დიდი ყურადღებით სინჯავდნენ ირაკლი მეორის საფლავს. უკვირდათ, რომ მადლიერმა ერმა თავის საყვარელ გმირს მხოლოდ ეს სადა ქვა აჩუქა რუსული წარწერით: „Здѣсь покоится Царь Ираклій" და სხ.

გადაგვარების ბეჭედი ირაკლისაც არ ასცდა.

ფრიად ამაღელვებელი სურათი ვნახე: თეთრსპეტაკი მოხუცი ნაღველმორეული დაჰყურებდა გაშიშვლებულ საფლავს, შემდეგ თავი აღო, მიუბრუნდა პატარა შვილიშვილს, რომელიც ხელო ეჭირა და უთხრა:

— აქ მეფე ირაკლი ჰმარხია!

— მეფე ირაკლი! შემოეხვია მდაბიო ხალხი.

— ჰო, მეფე ირაკლი!

ყველა გაშტერებით აცქერდება საფლავს. თითქოს მათი მზერა, მათი თვალები ჩასწვდა ირაკლის ძვლებს და დუმილით დაგვირგვინებული სასტიკად შეაშფოთა... უკმაყოფილებით აევსოთ გული.

**გოგლა ლეონი.**

# ქალთა უმაღლესი კურსები

კვირას, 2 ღვინობისთვეს, დიდის ამბით იდღესასწაულეს ქალთა უმაღლეს კურსებთან საექიმო ფაკულტეტის დაარსება. დღესასწაული გადახდილ იქმნა არტისტიულ საზოგადოების შენობის დარბაზში. დღესასწაულზე დასწრება კეთილ ინებეს მეფის ნაცვალმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ და დიდი მთავრის მეუღლემ ანასტასია ნიკოლოზის ასულმა. დარბაზი გაივსო დაწესებულებათა და საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენლებით. პირველად მისალოცი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს ეგზარხოსმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა პლატონმა და მანვე გადაიხადა სამშვიდობო პარაკლისი თბილისის სამღვდელოების თანამსახურებით. პარაკლისის შემდეგ რამდენჯერმე შესრულებულ იქმნა ეროვნული ჰიმნი. დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ შემდეგი სიტყვებით მიმართა დამსწრე საზოგადოებას:

„სულითა და გულით ვულოცავ ქალთა უმაღლეს კურსების დამაარსებელთ და საბჭოს სამკურნალო ფაკულტეტის დაარსებას. აგრეთვე ვულოცავ ამ ფაკულტეტის მომავალ მსმენელებს. მოხარული ვარ, რომ დაარსდა კავკასიისათვის ასეთი ფრიად სასარგებლო და საჭირო სამეცნიერო დაწესებულება, რომლის დედა აზრია მოამზადოს ექიმი-ქალები. ქალი, რომელიც უნდა ემსახუროს ავადმყოფებს, ყველას მხრივ ღრმა პატივისცემისა და მადლობის ღირსია. მთელის ჩემი გულით ვუსურვებ სამკურნალო ფაკულტეტის მსმენელებს სრულს წარმატებას სწავლაში, რათა ჩქარა დაამთავრონ სწავლა და ცოდნით აღჭურვილები ღვთის შეწევნით შეუდგნენ დაუძლურებულთა განკურნებას".

მეფის ნაცვლის სიტყვას დიდის ალტაცებით მიეგება საზოგადოება. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა, კურსების დირექტორმა და ხ. კურსების საბჭოს სახელზე მრავალი მისალოცი დეპეშებია მოსული სხვა და სხვა უნივერსიტეტებიდან, უმაღლეს სასწავლებ-

# სოლ. დოდაშვილი და ნ. ბარათაშვილი

(საბიოგრაფიო მასალა)

ნ. ბარათაშვილის პოეზიის [illegible] როცა ჩვენ გავეცნობით მის აღზრდის და ცხოვრების ვითარებას.

1801 წ. შემდეგ, რაკი საქართველოს სამეფოს დასარული მოხდა, ქართველების უმეტესობის ნაწილი უსაქმოდ დარჩა. და მიეცა ქეიფებს, ლოთობას, თამაშს და სხვა.

უბედურება სწორედ ის იყო, რომ ამ თამაშობაში აგებდნენ ყოველივეს. ამ გარემოებას კარგად სახავს ვახტანგ ორბელიანი:

„ზოგთა თვისი ქონება ბითურცხრაში წააგეს
და თავისი ცოლ-შვილი მშიერმწყურვალი დააგდეს".

პოეტმა გადმომცა ერთხელ ასე: ნეტავი თქვენ, რომ არ მოესწარით იმ უბედურ და საძაგელ დღეებს, როცა ქართველნი თავიანთ თავს, ცოლშვილს და მამა-პაპეულს მამულებსაც კი ღუპავდენ და კარტშიაც კი აგებდენ. ოო, კარგია, რომ თქვენ არ მოესწარით მას. არ ნახეთ მაშინდელი ქართველთ წამხდარი ბაზაზხანური ცხოვრება. მის გამოც ამბობს იგივ ვ. ორბელიანი, რომ

„მე არ მიყვარს კილო ბაზაზხანური,
კინტოთ კილო, კილო შუა-ბაზრული,

[illegible] თველობაში. ქამა-სმისა, ქეიფის და თამაშობის მეტი სხვას აღარაფერზედ ფიქრობდნენ. ეს იყო ქართველთ საგონებელი ვარამი და ყველა მასზედ ფიქრობდა და სწუხდა, თუ თავის სტუმრებს როგორ დახვედროდა.

ჩვენს ყოფას ყოფა არ ერქმეოდა, ვინაიდგან ქართველთ ასეთ დაღუპვის საქმეს და ულაზათობას, ყოველს ოჯახში თავის შემქებელი მომღერალი-მეშაირენიც ჰყვანდა, უფრო კი მებაიათენი, რომელნიც ქართველთა ქარაფშუტობას მხოლოდ მათი პურმარილობით ჰხსნიდენ და პირფერობით აქებდენ და თვალებს უხვევდენ მათ. ასეთ სპარსულ ბაიათების კილოთი მომღერალნი იყვნენ თბილისის მოქალაქენი ცნობილი ოჰანეზ ამიროვები და მადათოვები, რომელთა შორის ათასში ერთხელ მოქეიფე თავადისშვილებიც ერეოდნენ.

1805 წლების შემდეგ, ქართველთა მელექსეს, ცუდი ქეიფებით და ლოლობით თუ არშიყობით ქართველი ხალხი ჰკარგავს შრომის უნარს, კეთილ გონიერებას. ვიღას ახსოვდა წერა ძველებურად? თუ ვინმე რამეს სწერდა, ისიც საარშიყოდ, დანარჩენი ყოველივე ქართველისათვის მკვდარი იყო და მიუხვედრი.

ასეთ დროს დაიბადა ნ. ბარათაშვილი. იგი გაიზარდა ამ უდარდელობისა და ქეიფის სკოლაში. წრეს მაზე უფრო დიდი გავლენა ჰქონდა, ვიდრე „კეთილშობილთა სკოლა"-ს, სადაც იგი მიაბარეს მშობლებმა. მეორე მხრით არც ამ სასწავლებელში და არც სემინარიაში ქართული ენა ჰპატივად არ ისმოდა, ორთავეს მიზანი იყო ქართველი ახალგაზდობის გადაგვარება, მოშხამვა და მოკვლა. აქ შესული მოწაფეები ისე იწვრთნებოდნენ, რომ საბოლოოდ მათ ქართველისა აღარაფერი არა ეცხოთრა. რუსული ენის და წერა კითხვის შესწავლის, გარდა სხვა ყველაფერი მათში მკვდარი იყო, მოწაფენიც ისევე იყვნენ გატაცებულნი ლოთობა და ქეიფობისაგან, როგორც მათი ნათესავები, ამიტომაც მაშინდელი მოწაფენი კვირაობით მონაწილეობას იღებდნენ კრივში, ჭიდაობაში და მასთან ორთაჭალის ბაღებშიაც ხშირად სეირნობდენ საქეიფოდ.

ნ. ბარათაშვილის ნაამხანაგარმა სკოლის სკამზედ ერთად მყოფმა ლუკა ისარლოვმა, ადრინდელი ქართული ენის ცენზორმა მიამბო, რომ 1830 წლებში, მე არშიყულ ლექსებს მიტომ ვწერდიო, ვინაიდგან მაშინ ასეთი ლექსები იქებოდა და იწერებოდაო. ნ. ბარათაშვილიც ასევე სწერდაო. პატრიოტობა მერე შემოვიდა ჩვენშიო, ჩვენი დროის პატრიოტობა ქეიფობა იყო და არშიყობაო. ასევე მიამბო ერთხელ პოეტ ვახტანგ ორბელიანმა, რომ ჩვენი ახალგაზდობის დროის ლტოლვა და მისწრაფება მხოლოდ არშიყობის გარშემო დაფრენდა და ქეიფებს ელტოდაო.

ასე ყოფილა მაშინ და თვით ნ. ბარათაშვილსაც არშიყულის ლექსებით დაუწყვია მწერლობა, ამის ნიმუში არის მისი ლექსი:—„მადლი შენს გამჩენს, ლამაზო" და სხვანი. ეს გარემოება პოეტისა შენიშნული აქვს პატივცემულ მწერალ მოღვაწეს ნ. ნიკოლაძესაც, რომლის შენიშვნაც პოეტის ცხოვრების შესახებ 1875 წ. თბილისის რუსულ გაზეთ „თბილისის ვესტნიკში" დაისტამბა. ნ. ნიკოლაძის სიტყვით, პოეტს ასე და ამ გვარად, თავის წინაპართა მიმართულების თანახმად არშიყობით დაუწყვია ლექსების წერაო.

ჩვენ კარგად ვიცით ის გარემოებაც, რომ მერედაც 1801 წლიდამ მოყოლებული ნ. ბარათაშვილის მამა მელიტონი, დიდი მეპურმარილე კაცი იყო. მის ოჯახში წვეულება დიდად უყვარდათ, მის სახლში დღე მუდამ თონეში პური ცხვებოდა; ორი ყმა კაცი გლეხი მიჩენილი ჰყავდა ყოველ დღე ზამთარ-ზაფხულს თევზი ეჭირნა მტკვარში. ერთი დადებითი ხასიათი მელიტონისა იყო ის, სტუმრებად იწვევდა წარჩინებულ პირთ, როგორიც იყო გრიგოლ ორბელიანი და სხვა სწავლულნი. მას მეტად უყვარდა სუფრაზედ მათი მიწვევა და მათთან საუბარი. მისთვის სტუმრები სულ ერთი იყო, ვინც უნდა ყოფილიყოს. ქართველი, რუსი, სომეხი, თათარი და სხვანი, ოღონდ კი ნასწავლი ყოფილიყოს და ლაპარაკი შესძლებოდა, თორემ მელიტონი ყველას სიამოვნებით ჰპატიჟობდა. საყვარელ სტუმართა შორის ხშირად ნახავდით თბილისში მცხოვრებ პოლონელ პროფესორებსაც, რომელთაც ნ. ბარათაშვილიც გაეცნო. ეს ძვირფასი სტუმრები მელიტონის ოჯახში მოჰყავდა სოლომონ დოდაშვილს ძრიელ ხშირად თვით სოლომონიც მიდიოდა მელიტონის სახლში და სადილზედ დროს ატარებდა, მას კი ლაპარაკი და კამათი უხდებოდა პოლონელ პროფესორებთან. პოლონელი პროფესორები საქართველოში დასასჯელად ყოფილან გადმოსახლებული. თბილისში მათ მოერეკებოდნენ ხელფეხში ბორკილებ გაყრილს და ყელზე თოკ მობმულთ, ერთი-ერთმანეთზე გადაბმულებს. აქ მოსვლისას მათ ადამიანის ფერი აღარა ჰქონდათ, ტანთ არ ეცვათ და ფეხთ. ქართველებს დიდად ებრალებოდათ ესენი და მათს სანახავად მოდიოდნენ. მით უმეტეს მაშინ, როდესაც გაიგეს ესენი დასჯილი პოლონელი პროფესორები არიანო, ყველა სცდილობდა შინ მიეპატიჟნა და რითიმე პატივი ეცა, როგორც განათლებულ დასჯილ ერის შვილებსათვის. ესენიც სიამოვნებით დადიოდენ ქართველთა ოჯახებში, მათს პატივს მადლობით იღებდნენ, ყველაზედ კარგად პოლონელ პროფესორებს იცნობდა სოლომონ დოდაშვილი. სოლომონ დოდაშვილი მუდამ დღე ამ პროფესორებთან გახლდათ და საუბრებს მართავდა სხვა და სხვა კითხვების შესახებ.

რომ გავიგოთ, თუ როგორ მოხდა, რომ სოლომონს ა ეთი ნდობით და პატივით ეპყრობოდნენ დასჯილი ერის შვილნი, უნდა გავეცნოთ ამ დიდი ადამიანის ბიოგრაფიას. ეს გახლდათ განათლებული კაცი. მან პეტროგრადის უნივერსიტეტი გაათავა 1827 წ. უნივერსიტეტში მას აგნათ ფილოსოფია ჰქონდა აღებული, ამიტომაც გათავების დროს, დისერტაციათ ლოღიკის სახელმძღვანელოც დასტამბა. ასე თუ ისე, 1830 წლებში, საქართველოში სოლომონ დოდაშვილი იყო ერთი უგანათლებულესი ქართველთაგანი. ვინ უფრო წინად ჩამოვიდა თბილისში? ს. დოდაშვილი მოვიდა 1828 წ. ამ დროს, ვგონებთ, პოლონეთის პროფესორები თბილისში არ უნდა ყოფილიყვნენ. პოლონელ პროფესორთა მოსვლას ჩვენ 1837 წ. ვაწერთ, ვინაიდგან 1837 წ. იგი გადასახლებულ იქმნა რუსეთში.

მისი გადასახლების შემდეგ პოლონელებს კარგი დღე აღარ გაუთენდათ, ვინაიდან ქართველებს ნებას აღარ აძლევდნენ ერთად შეკრებისას და მათს პატივსაც მოეღო ბოლო.

**ზ. ჭ.**

(დასასრული იქნება)

ბლებიდან, ორგანიზაციებიდან და კერძო კაცთაგან. ბევრი ამ დეპეშათაგან კრების წინაშე წაკითხულ იქმნა. ხალხი გვიან დაიშალა. ფაკულტეტზე ყველა ვაკანსიები დაჭერილია. ბევრი მსმენელისათვის ადგილიც აღარ არის.

## სახალხო მასწავლებელთა საზოგადოება

30 ენკენისთვეს მოხდა შეერთებული კრება თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების მასწავლებელთა საზოგადოების გამგეობის სექციებისა და საგანგებოდ მიწვეულ მცოდნე კაცებისა. თავმჯდომარეობდა ბ-ნი ვარ. ბურჯანაძე.

კრების უმთავრეს საგანს შეადგენდა განხილვა საკითხისა სახალხო სკოლების რეორგანიზაციის შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს პროექტი ამ საგნის შესახებ. კომისიაში შედიან: დ. დუმბაძე, პ. თედეევი, ი. როსტომიანი და ქ-ნი ო. მასლოვა. ებრაელთა სექციამ, რადგან მაშინ კანდიდატი არ ჰყავდა, 2—3 დღეში უნდა აირჩიოს კომისიისათვის თავისი წარმომადგენელი. თავმჯდომარემ შემდეგი თავისი მოსაზრება წარუდგინა კრებას სკოლების რეორგანიზაციის შესახებ: სკოლა უნდა იყოს ეროვნული. ყველა საგნების სწავლება სამშობლო ენაზე უნდა სწარმოებდეს. სკოლაში უნდა იყოს 4 წლის კურსი. ეს წინადადება მხედველობაში იქმნა მიღებული. კრებამ გამგეობას დაავალა 1 კვირაში მოიწვიოს კომისიის წევრები სამუშაოდ. სექციები ვალდებული არიან ყოველგვარი მასალა მიაწოდონ კომისიას.-პროფესიონალ სკოლების დაარსების შესახებ აღძრულ საკითხის გამო კრებამ დაავალა გამგეობას მოიწვიოს სპეციალისტები და მათი დახმარებით შეიმუშაოს პროექტი ისეთ სკოლების ორგანიზაციისა. ბოლოს კრებამ მოისმინა და დაამტკიცა ინსტრუქცია სექციების სახელმძღვანელოდ.

## დაფნის გაყალბება

როგორც ვიცით, დასავლეთ საქართველოდან (განსაკუთრებით-კი სამეგრელოდან) 50-60 ათას ფუთამდე დაფნის ფოთოლი გააქვთ რუსეთის სხვა და სხვა კუთხეში. ფუთი დაფნა ომის დაწყებამდე იყიდებოდა 6 8 მანეთამდე, ეხლა-კი დაფნის ფასი 20-25 მანეთამდე ავიდა. მთავრობამაც ხელი შეუწყო ადგილობრივ დაფნის ფოთლის გასაღებას და ამ აზრით საზღვარგარეთის დაფნას ფუთზე 7 მანეთი. სადამოჟნო ბაჟი დაადვა. ამ რიგად დაფნა სოფლის ნაწარმოებთაგან ერთ საუკეთესო საგნად გახდა. მაგრამ ამ საქმეს ჩვეულებრივი მტრები გამოუჩნდნენ ბოლო დროს. ასეთი მტრები აღმოჩნდნენ ჩარჩი-ვაჭრები, რომელთაც დაიწყეს დაფნის ფოთლის გაყალბება ეს გაყალბება იმაში მდგომარეობს, რომ დაფნის ფოთოლში, ურევენ წონის მოსამატებლად ჯოხებს, სხვა მცენარეულობას, ქვებს, ქვიშას და სხვ. გაყალბება დაფნისა პირველად დაიწყეს რუსეთიდან ჩამოსულმა ებრაელებმა (სეხონი და ამხ. და სხვანი) და ამათ მიჰბაძეს ზოგიერთმა ადგილობრივმა ვაჭრებმაც საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ გლეხები სუფთა დაფნის ფოთოლს ჰყიდიან ვაჭრებზე. ამ რამდენიმე ხნის წინად სამკურნალო მცენარეულობის შემგროვებელ ორგანიზაციის ხელმძღვანელს ბ-ნ იოს. ქუთათელაძეს დაფნის ფოთოლი უნდა ეყიდა ჯარებისათვის და წარმოიდგინეთ, სენაკისა და ზუგდიდის ბაზრებზე გაყალბებული დაფნა არსად არ აღმოჩნდა. მხოლოდ ხეთის სასოფლო კოოპერატივს აღმოაჩნდა ათას ფუთამდე წმინდა დაფნა, რომელიც მაშინვე შეიძინა ბ-ნმა ქუთათელაძემ. სენაკში დაფნის საწყობები გაჩხრიკა კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ მაზრის უფროსი ლევაშოვი, საერობო აგრონომი კანდელაკი და ბ-ნი ი. ქუთათელაძე და ყველა საწყობში დაფნა გაყალბებული აღმოჩნდა, განსაკუთრებით კი სეხონის საწყობში. კომისიამ ოქმი შეადგინა და ქუთაისის გუბერნატორს წარუდგინა. ხალხი დარწმუნებულია რომ ბ-ნი გუბერნატორი სამაგალითოდ დასჯის დამნაშავეთ.

## რუსეთის ცხოვრება

**ქალაქის გამგეობის წევრის დაპატიმრება.** სანიტარიის და ევაკუაციის უმაღლეს უფროსის, პრინც ოლდენბურგელის ბრძანებით ერთი თვით დააპატიმრეს პეტრეს ქალაქის საქალაქო გამგეობის წევრი კომაროვი; მას სანიტარული ზომები არ მიუღია მის ხელქვეშ მყოფ მუშათა შესანახად და ძალიან ცუდი საჭმელიც უძლევია მათთვის.

**სასურსათო კრიზისი მოსკოვში** თან და თან მწვავდება. ქალაქის საბჭოს უკანასკნელ კრებაზე დაადგინეს, მოახსენონ მთავრობას, რომ ქალაქის თვითმართველობა საშუალებას მოკლებულია უზრუნველჰყოს მცხოვრებნი სურსათით, რადგან სატრანსპორტო საქმე მის ხელში არ არის; რომ თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი უბედურება, საჭიროა რომ სურსათის მიწოდება როგორც ჯარისთვის, ისე ხალხისათვის ერთი მეორეს შეუთანხმდეს.

**მონადირეთა გასაჭირი.** ციმბირში „მონადირეთა კრიზისია“, რადგან წარსული წლის ნახევარიდან ქარხნები აღარ აკეთებენ კერძოდ გასაყიდ თოფის წამალს; წამალის უქონლობა პირდაპირ შიმშილობას გამოიწვევს ციმბირში, რადგან აქაურ ჩრდილო გუბერნიათა მცხოვრებნი მხოლოდ ნადირობით ცხოვრობენ.

**შაქრის მაზანდა** 1916—1917 წლის განმავლობაში იქნება შემდეგი: ფხვნილი ფუთი ღირს 6 მან. და 60 კაპ. სადგურზე მიტანით.

## ა. ი. კუპრინის ლექციაზე

სავსე დარბაზი მუსიკალური სასწავლებლისა, ელიან კუპრინს. ელიან ცნობილ რუს მწერალს, ელიან სიტყვას ახალ რუს მწერლობაზე. ელიან ლოდინით და მოუთმენლათ. თუ რას იტყვის იგი—მესაიდუმლე რუსის გულისა. და აი მოვიდა თვით კუპრინიც. და ლექტორის პირველი სიტყვებიდან სავსებით გაქრა ყოველი იმედი რაიმე ახალი სიტყვის მოსმენისა. რა სთქვა მან? ამის თქმა ისევე ძნელია, როგორც ძნელი იყო მოსმენა ლექტორისა. ვოლფის წიგნის მაღაზია ყოველ თვე სცემს თავის წიგნების „პრეის-კურანტს“ და ამ „პრეის-კურანტში“ მოკლე დახასიათებაა წიგნების ავტორთა, ამოღებული სხვა და სხვა გაზეთებიდან. სწორედ ასეთი „პრეის-კურანტი“ იყო კუპრინის ლექცია, მხოლოთ ცოტა უფრო დიდ მასშტაბში—იგი ეხებოდა მთელს ახალ მწერლობას ჩეხოვიდან დღევანდელ დღემდე. ორ-ორი სიტყვით ხსენებული მიდიოდენ ჩვენს წინ ისეთი ბუმბერაზი მწერლები, როგორც ბლოკი, ბალმონტი, ა. ბელი და ეს ორ-ორი სიტყვა კი შეუწყნარებელი შეურაცყოფა იყო მათი. ა. ბელიზე, რომელმაც სავსებით დაიპყრო დღევანდელი რუსეთი და რომელზედაც ფილოსოფოსმა ბერდიაევმა საჯაროთ წარმოსთქვა, რომ მას ეშინია რუსეთის, რომელმაც შექმნა „პეტროგრადის“ ავტორი, ბ-ნმა კუპრინმა საჭიროთ სცნო ეთქვა, რომ ის სიმღერით კითხულობს ლექსებს და მისი კითხვა ჰინჰრაქას მოგაგონებთო. ამაზე მეტი შეურაცხყოფა მწერლისა წარმოუდგენელია და ისიც თვით მწერლისაგან.

უსახელო ლექტორს ასეთი ლექციისათვის დარბაზიდან აძევებენ, მაგრამ კუპრინი ხომ ცნობილი მწერალია და ისიც ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

ლ. სარაული.

## გ უ რ ი ა

(შემოდგომის სურათი)

ჩემი ბავშვობის მოგონებიდან ისე ტკბილი, სიამით აღსავსე წელიწადის ისე არც ერთი დრო არ არის, როგორც შემოდგომა. ახლაც თვალწინ მიდგას ნადით ღომის კრეფა. ხის ქვეშ ხაპის (კვახი—გოგრა) ფოთოლზე ღომი, საკრეფო ქათამი, ნიგვზით „ჩაზუზზუზებული“, ნაშუადღევს მკრეფავი ქალების თხოვნით ხეზე გასვლა და კაბალახით ჩხავერისა ან ტევან დიდის მოკრეფა „პირის გასასველებლად“. საღამო ჟამს ღომის ნალიაში ღომი წყობა, ხაპის წვა, სიმინდის ტეხავება, ყუნძის კრეფა, მკრეფელთა მხიარული ხიდან გადმოძახილი „ჰა გიდელაი—ჰაა?? ფელამუში, ჯანჯუხის (ჩურჩხელა) ამოვლება — „სკინტი“, ჩურჩხელიდამ ჩამონაწვეთი ფელამუში (თათარა) ურმის ჭრიალი, სიმღერა, სიმინდის რჩევა, ხელხვავი, იქვე სიმინდის ფუჩეჩში ცუღლუტობა, ნალიაზე სიმინდის „თრაქვა“—ტალია, ყანის მოთავება და „ყანის თავი“ (სახლის მამლის დაკვლა), ბურვაკის ხორცით ახალი „ღომის ხილვა“. ოხ, ღმერთო ჩემო, რომელი მოვთვალო. ვიგონებ გურიას ამ 30 წლის წინანდელს, ვიგონებ და გული სევდით მევსება. ვადარებ ახლანდელს და გულით მეცოდება ახლანდელი ახალგაზრდობა, რა აქვთ ბეჩავთ კარგი მოსაგონარი. ძველი სიმდიდრ-საუნჯე აღარ არის.. ძველი ადათ-ჩვეულებაც ძველს გაჰყვა. ერთნაირობა, ერთი შაბლონი. ახლანდელი ახალგაზდობისათვის ერთია წითელი პარასკევი და აღდგომაც, შემოდგომა და ზამთარიც—ყოველთვის ცივი ქარი ბერავს, სითბო და ცხოვრების მრავალფეროვნება გაჰქრა. სიმღერაც, ძველ სიმღერას ისევ ძველი კაცებისაგან, წვერთეთრებიანებისგან თუ მოისმენ ძველებურს სადას და მარტივს, თორემ ახლების მიერ ძველი სიმღე რაც „გადაიკრიკანტებულია“— გადა მახინჯებული.

—

ცხოვრების მღდუნებას სხვათა შორის ხელი შეუწყო ზედი-ზედ მოუსავლობამ. ხუმრობა ხომ არ არის ოთხი წლის ზედი-ზედ მოუსავლობა. გურული და უმპადობა, გურული და ულვინობა. გურულს ღვინო ყანაში მიჰქონდა, ამ უკანასკნელ წლებში კი სადღეობოდაც ბოთლობით ყიდულობდა. იშვიათს ყველაფერი იშვიათი დაერთო, ყველაფერი ადრე შემოვიდა. 15 მარიამობისთვიდან (ზოგან უფრო ადრეც) მაჭარი და გამოსატეხი სიმინდი გაჩნდა.

გამოძებნეს მიტოვებული ჭურები (ქვევრები), ამორეცხეს გადმოაბრუნეს 10—15 წლის უხმარი საწნახელი (ნავი), გამოუცვალეს ნალიას ბარჯგები (ბოძები) და ზოგს მეხუთე და მეექვსე ბარჯგი მიუმატეს. დიდი ხანია აცანელ-აკეთელს ბაზარში აღარ გაუტანია ჭურ-ჭარიკა-ფიჩხაურები — აჭრიალდა წელს მეჭურჭლეების ურმები. ერთი სიტყვით ყველაფერი უქადოდა გურიას, რომ ის „რჯულზე გაძღებოდა“. ველოდით ყანას ხელხვავის სიმღერით ავიღებდით, ღვინოს დავაყენებდით და ქორწილებიც ჩვეულებრივი (სასმელ-საჭმელით და არა საუზმით) გაჩაღდებოდა, მაგრამ ვაგლახ მე, მას ვინც ნამუშავარი მოსაწევათ მოეყვანა, მას ვისაც გასათხოვრები ჰყავს, მას ვისაც ბრძოლის ველზე შვილები ჰყავს. სევდამ მოიცო ოდნავ გამხიარებული გურია, აღარ ისმის სიმღერა, აღარ რიგდება „ქორწილის წიგნი“... ბევრი ჯერ კიდევ შემოუსვლელ ყანას შესია, რომ „პაწეი ხეფსი“ ქალ-ბაღანას დაუტიოს ნალიაში შეყრილი... მიდიან... „მამული და ვენახო იქნებ სულაც ვერ განახო“... ვინ მიალაგოს ნამუშიერი, ვინ მოკრიფოს მაღალ ხეებზე ყურძენი, ვინ მოიტანოს შეშა. ამას დაერთო კიდევ საქონლის ჭირი და თქვენთვის ადვილი წარმოსადგენი იქნება გურულების გასაჭირი, მაგრამ მითხარით ვინ არის რომ ულხინდეს.

აპ. წულაძე.

## დაბა-სოფლები

**ს. ბარისახო** (თიანეთის მაზრა). 15 ენკენისთვეს შუადღისას ბარისახოსაკენ მიმავალი საერობო დარაჯი ხევსური, ივანე (უნცრუა) არაბული თავის ძმასთან ერთად, ჩირდილის ხევთან მომავალი ვიღაც უცნობმა ჩასაფრებულმა პირმა თოფით სასიკვდილოდ დასჭრა. რომ ეს ამბავი თიანეთის ადმინისტრაციამ და ხალხმა მთელ ხევსურეთს არ მიაწეროს, საჭიროა ცოტაოდენი განმარტება. ამ ერთის წლის წინად, ვიდრე ეს არაბული სტრაჟნიკად ჩადგებოდა, იგი და ერთი ს. დათვისელი გიორგი არაბული თოფებს ისროდნენ, მათ შემოაკვდათ სოფელ ზეისტეროში მცხოვრები. ასტყდა დავა ამ ორთა შორის: არა შენის თოფით მოკვდა, არა შენითაო. მოკლულის პატრონმა კი, ხევსურეთის წესით და რჯულით, უნდა შური იძიოს ან ერთზედ, ან მეორეზედ, რომელთანაც კი შეხვედრის შემთხვევა მიეცემოდა. როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი ამბობენ, სწორედ ამ ნიადაგზედ არის გამოწვეული.

19 ენკენისთვეს ამ დაჭრილმა სტრაჟნიკმა არაბულმა, როდესაც მარტო დაიხელა თავი, რევოლვერი დაიცა მარჯვენა ყურში და თავი მოიკლა. ალბად ტკივილებს თუ ვეღარ გაუძლო და მორჩენის იმედი გადაუწყდა.

ხევსურეთის სოფლებში საშინლად მოდებულია ავადმყოფობა—სისხა, რომელიც მუსრს ადენს ხალხს; არსად წამალი და ექიმი; თუმცა ერთხელ კი გაიარა ფერშალმა ავადმყოფობის გამოსარკვევად. ეს იყო და ეს, ამით გათავდა ყველაფერი. ამ სენმა მარტო სოფ. ღულში ათამდე ადამიანი იმსხვერპლა და კიდევაც ბევრია ავათ. აქედან დანარჩენ სოფლებს მოედო და დღითი დღე სატკივარი მსწრაფლ ვრცელდება და ფეხს იკიდებს. საჭიროა დაუყოვნებელი დახმარება, თორემ სადაც არის თოვლს ჩამოჰყრის, შეიკვრის გზები და მაშინ გვიან იქნება.

კათაკმეველი.

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი დიდად პატივცემულ გაზეთ „საქართველოს“ საშუალებით ღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ნიკოლოზ იოსების ძე ჭრელაშვილს, რომელმაც ს. მაღაროს წიგნთსაცავისათვის გადმომცა 10 მანეთი და აღმითქვა პირველ იანვრიდგან გაზეთ „საქართველოს“ გამოწერა.

გულითად მადლობას ვუძღვნი აგრეთვე ისაკო გიორგის ძეს სახლობით, რომელთაც ს. მაღაროს წიგნთსაცავს წიგნების შესაძენად შემოსწირეს ერთი თუმან ; აგრეთვე მადლობის ღირსია ივანე მარცვალას ძე დოდაშვილი, რომელმაც ხუთი მანეთი გადმომცა „თეატრი და ცხოვრება“-ს გამოსაწერად.

ვიმედოვნებ, რომ არც სხვა მაღაროელნი დაიშურებენ ამ ფრიად სასარგებლო საქმისთვის თავიანთ წვლილს, რაიც დიდის მადლობით იქნება მიღებული მაღაროს პატარა წრის მიერ.

მადლობას ვუძღვნი ი. იმედაშვილს, რომელმაც წლის ბოლომდე, „თეატრი და ცხოვრება“ უფასოდ დაგვითმო.

წრის მონდობილობით

ეკატერინე ასათიანისა.

—

მივმართავ და მოვაგონებ ჩემ მიერ ჩაწერილი ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების სამუდამო წევრებს კეთილი ინებონ საწევრო ხვედრი ფული გაგზავნონ ქ. თბილისში, ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში, თორემ თანახმად ამა საზოგადოების გამგეობის დადგენილებისა, ვინც ერთ წელიწადში სრულად 20 მანათს არ შეიტანს, ის ამ საზოგადოების წევრად არ ჩაირიცხება, მხოლოდ მის მიერ შემოტანილი ნაწილი სამუდამო საწევრო ფული ჩაიწერება ამა საზოგადოების წიგნში საქველმოქმედო შემოწირულებად.

ამასთან ერთად უმორჩილესად ვთხოვ დიდათ პატივცემულ წევრებს არ დაზარდნენ, აღუძრან მათ ნაცნობ-მეგობრებს სურვილი ამა საზოგადოების სამუდამო წევრად ჩაწერისა და მით ხელი შეუწყონ ამ ერთად-ერთი ჩვენთვის წმინდათა-წმინდა დაწესებულების მოქმედებას. ყველა იმ პირთ, ვინც მოისურვებს ამა საზოგადოებაში სამუდამო წევრად ჩაწერას, შეუძლიან თვითონვე გამოგზავნოს 20 მანეთი ერთად ან ნაწილ-ნაწილად ამა საზოგადოების სახელზე.

პატივისცემით საზოგად. წევრი

კონსტანტინე ოდიშარია.

P. S. ვსთხოვ სხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

კ. ო.

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო შანშიაშვილი

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 „ | 58 „ | დილ. |

თფილისში მოდის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, | . 7 „ | 58 „ | საღ. |

ღვინის საწყობი
ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება შეღავათიან ფასებში საუცხოვო ნამდვილი
კახური ღვინო
გოლოვინის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასზ
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროს გამგებლობაში მყოფი
კულინარული (მზარეულობის) სკოლა
ე. ნ. მისტროვისა
(გრიბოედოვის ქ., № 7.)
სკოლის წესდების § 4-ის ძალით აძლევენ თეორეტიულ ცოდნას მეოჯახეობის, სამზარეულოს ჰიგიენის, საჭმელების კეთების, სანოვაგე-სურსათის და ხორცეულობისას. პრაქტიკულად ასწავლიან სხვა და სხვა გვარ რუსულ, ევროპიულ და ადგილობრივ საჭმელების, ნამცხვრების, მურაბების და შინაურ კვასის კეთებას. სკოლის მიზანია: 1) გააუმჯობესოს და გააიაფოს ოჯახში კვება; 2) შეასწავლოს კულტურული პროფესია ცხოვრებაში გამოსაყენებლად და ცხოვრების წყაროს მოსაპოვებლად.
სამი თვის კურსი ღირს 25 მან. შეიძლება მეცადინეობა თვიურად და გაკვეთილობითაც. სკოლაში შესვლა შეიძლება ყოველდღე.
(10—338—7)

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

გამოვიდა და იყიდება
კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში
(ქუთაისში)
რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое Слово“ ნაწ. I, მეორე გამოცემა. უხვად დასურათებული, შედგენილი ს. ოცხელის მიერ. ფ. ყდით 2 აბაზი.
ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა“) თანაგრძნობით შეხვდა.
პრაქტიკის მქონე მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ „Новое Сслово“-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივი ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.
სასწავლო ოლქმა თანახმად მზრუნველის რჩევის დადგენილებისა ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова“ имѣетъ несомнѣнныя достоинства, и умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово“ можетъ быть признано вполнѣ подходящимъ руководствомъ для грузинскихъ народнихъ школъ“.
(ო.—225—15)

ქ. თბილისში, ოლღას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია
„განათლება“-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.
პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვიოთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.
ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი
ძმ. მესხელიშვილები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-შვილთ“ მრეწველობიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მარშაბა“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ორაგული ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და საჭირო რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.